

110 / 2
1921



მოამბე

შელიწადი
პირველი

შაბათი, ივლისის 3.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 10

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 10

რედაქციის მისამართი:

სარედაქციო საქმეებზედ მოლაზარაკება შეიძლება ეო-

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელფის ქ. № 1.
(ეოფ — კადეტთა კონფესის შენობა) ტელეფონი № 6-90.

ველ დღე — სადამოს 5-დან 7 სადამდე.

რედაქციის აგან

„მოამბე“ — ში გახსნილია პითხვა-გახსუნის განყოფილება იმ საპითხავის შუ-
სახეზე, რომელიც აინტარესებს რეპრობებსა და სხვა ორგანიზაციებს. ში-
ლებულ შუპითხვაზე რადაკითა დაუოვნებლივ გახსავს გასუნს

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 28.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კო-
მიტეტისა. მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტე-
ბის შესახებ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა I.

თ ა ვ ი I

§ 1. მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებს
აწარმოებენ მხოლოდ საერო დაწესებულებანი,
რომელნიც იმყოფებიან: თემის, მაზრის და ქალა-
ქის (რევკომთან) აღმასრულებელ კომიტეტების
შინაგან მართველობის განყოფილებებთან.

შენიშვნა 1. წარმოება მოქალაქობრივ
მდგომარეობის აქტებისა, საქართველოს მო-
ქალაქეთათვის საზღვარგარეთ, ევალებათ იქ
მყოფ საქართველოს წარმომადგენელთ, რო-
მელნიც მოვალენი არიან შეატყობინონ მო-
ქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ
ცენტრალურ განყოფილებას აქტების ასლების
გადმოგ ხაზნით.

შენიშვნა 2. დაბადების, ქორწინების და
სიკვდილის რეგისტრაცია გენზე, ან და ლაშ-
ქრობაში ომის დროს, ევალებათ: გემის კა-
პიტანს ან ლაშქრის ნაწილის საქმის მწარმოე-
ბელს. აღნიშნული პირნი მოვალენი არიან
შეინახონ ასლი აქტისა, ხოლო დედანი სა-
რეგისტრაციო დოკუმენტისა, პირველ შემ-
ღებისამებრ უნდა გაუგზავნონ მალობელ
ადგილობრივ რევკომის შინაგან მმართველო-
ბას, კუთვნილისამებრ გადასაცემად.

§ 2. მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების
ჩამწერი განყოფილებები არსდებიან: ცენტრალუ-
რი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გან-
ყოფილებასთან, ადგილობრივ — თემას, მაზრის და
ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან (რევკო-
მებთან).

§ 3. ადგილობრივ მდგომარეობის აქტების
ჩამწერ განყოფილებებს ევალებათ: ა) რეგისტრაცია
ყველა იმ მოვლენათა, რომელთაც შეუძლიანთ
რაიმე გავლენა იქონიონ იმ პირთა მოქალაქობრივ
მდგომარეობაზე, ვინც სათანადო დეპუტატთა საბ-
ქოს გამგებლობაში იმყოფება, ბ) დამზადება რეესტ-

რის შემოწმებულ ამონაწერებისა თანახმად დაინტერესებულ პირთა მოთხოვნისა.

§ 4. ადგილობრივ განყოფილებებს ევალებათ აწარმოონ შემდეგი რეესტრები სათანადო აღფაბეტებით: ა) დაბადებულთა ჩაწერა, ბ) გარდაცვალებულთა ჩაწერა. გ) უგზო უკვლოთ დაკარგულთა ჩაწერა, დ) ქორწინების ჩაწერა, ე) განქორწინების ჩაწერა, ვ) ჩაწერა განცხადებისა ჩასახულ ბავშვის კუთვნილების შესახებ, ზ) ჩაწერა იმ პირებისა, რომლებიც იცვლიან გვარებს და მეტ სახელვს.

§ 5. რეესტრებს აწარმოებენ ორ ცალად, მათგან ერთი რჩება ადგილობრივ, ხოლო მეორე ცალი წლის დამლევს, მაგრამ არა უგვიანეს ახალი წლის 15 იანვრისა, უნდა იყოს გაგზავნილი მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების მწარმოებელ ცენტრალურ განყოფილებაში.

§ 6. მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ცენტრალურ განყოფილებას ევალება: ა) უმაღლესი მეთვალყურეობა მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებათა საქმის წარმოებისა, მათი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, ბ) საერთო აღფაბეტების შედგენა ადგილობრივ განყოფილებების ცნობების მიხედვით; ბ) გაცემა რეესტრებიდან ცნობებისა და ამონაწერებისა.

§ 7) წიგნებს აწარმოებენ იმ ნიმუშების მიხედვით, როგორსაც დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია. წიგნები გადაეგზავნებათ ადგილობრივ განყოფილებებს ზონარ გაყრილი, ბეჭდვით დასმული და ცენტრალურ განყოფილების გამგის ან და მის თანაშემწის მიერ ხელმოწერილი.

§ 8. ყოველი აქტი მოქალაქობრივ მდგომარეობისა უნდა იყოს შეტანილი სათანადო სარეგისტრაციო წიგნში №-ით, წლიური ნომერაცია ყველა წიგნისა კი უნდა იყოს გაუწყვეტელი (ე. ი. რიგზე).

§ 9. დაუშვებელია შემოკლებითი წერა ან ამოშლა ჩანაწერისა მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების წიგნებში—შესწორებები და ჩამატებები უნდა მოთავსებული იყოს აქტის ბოლოში აქტების მონაწილე პირთა ხელის მოწერამდე;

შენიშვნა: შესწორების შეტანის დროს შესასწორებელი ადგილი წვრილი ხაზებით უნდა წაიშალოს, რომ მისი წაკითხვა ადვილად შეიძლებოდეს.

§ 10. ადგილობრივ განყოფილებების აღრიცხვის წიგნში ყველა აქტი უნდა იყოს ხელმოწერილი: იმ მოხელის მიერ, რომელმაც შეიტანა აქტი, იმ პირის მიერ, რომელმაც შეატყობინა ამბავი და აგრეთვე მოწმეების მიერ, თუ აქტის შედგენა მოითხოვს მოწმეების დასწრებას.

§ 11. ჩაწერილი აქტი ხელის მოწერამდე ხმა მალა უნდა წაეკითხოს იმ პირთ, რომელნიც აღნიშნულნი არიან მე-10 მუხლში.

§ 12. ყველა ცვლილებანი ჩანაწერისა, რომელიც მოხდება სარეგისტრაციო წიგნების გარდაგზავნის შემდეგ, მოქალაქობრივ მდგომარეობის აქ-

ტების ჩამწერ ადგილობრივმა განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცენტრალურ განყოფილებას და მასვე გაუგზავნოს იმ ფურცლის ასლი, რომელშიაც შეტანილი იქნება ცვლილება.

§ 13. დავა სარეგისტრაციო წიგნებში შეტანილი ცნობების შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს წესით.

§ 14. სარეგისტრაციო წიგნში ჩაწერილის გასწორება შეიძლება მხოლოდ სახალხო მოსამართლის მოწერილობით.

§ 15. ყოველი ჩაწერა სარეგისტრაციო წიგნში ხდება წერილობითი ან სიტყვიერი განცხადების შემდეგ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილების სახელზე, სიტყვიერი განცხადების გამო უნდა შედგენილ იქნას სათანადო ოქმი.

თ ა ვ ი II.

§ 16. დაბადებულთა წიგნში უნდა იქმნეს ჩაწერილი დაბადება, ნაპოვნი ახლად დაბადებული ბავში და ცვლილება მოქალაქობრივ მდგომარეობისა ნამდვილი ჩამომავლობის მიხედვით.

§ 17. განცხადება ბავშვის დაბადების ან პოვნის შესახებ უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან დაბადებისა ან პოვნისა.

§ 18. განცხადება შეიძლება, როგორც წერილობითი ისე სიტყვიერი; განცხადებაში აღინიშნება: დღე, საათი და ადგილი დაბადებისა, სქესი, ბავშვის სახელი, გვარი, წლოვანება და მუდმივი ბინადრობა ბავშვის მშობელთა, მერამდენე ბავშვია იმავე მშობელთაგან, და მათი ეროვნება.

§ 19. განცხადება შეაქვთ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ სათანადო ადგილობრივ განყოფილებაში ბავშვის მშობლებს ან რომელიმე მათგანს, ან სხვა პირთ, რომელთა მზრუნველობის ქვეშაც იმყოფება ბავშვი მისი მშობლების სიკვდილის, მასთან არ ყოფნის ან ავადმყოფობის გამო.

§ 20. განცხადებას უნდა დაერთოს ხელწერილი ორივე მშობელისა იმის შესახებ, რომ ბავშვი ნამდვილად მათ ეკუთვნით.

§ 21. დაბადების სინამდვილე უნდა იქმნას დადასტურებული ორი პირის მიერ, რომელთა შორის შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებელიც (17)

§ 22. თუ ტყუპი დაიბადა თვითნებულ მათგანზე უნდა იყოს შეტანილი განსაკუთრებული განცხადება, დაბადებულთა წიგნში კი ტყუპი ცალცალკე უნდა იყოს ჩაწერილი.

§ 23. განცხადება აუცილებელია მაშინაც, როდესაც ბავშვი მკვლარი დაიბადება; ამის გამო დაბადებულთა წიგნში იწერება შესაფერი შენიშვნა და იმავე დროს ჩაიწერება მიცვალბულთა წიგნშიაც.

§ 24. განცხადება ბავშვის პოვნის შესახებ უნდა შეიტანოს თვით ბავშვის მპოვნელმა.

§ 25. ბავშვის პოვნის შესახებ განცხადებასთან ერთად უნდა იქმნას წარდგენილი ადგილობ-

ეროვნული
საბჭო

რის შემოწმებულ ამონაწერებისა თანახმად დაინტერესებულ პირთა მოთხოვნისა.

§ 4. ადგილობრივ განყოფილებებს ევალებათ აწარმოონ შემდეგი რეესტრები სათანადო აღფაბეტებით: ა) დაბადებულთა ჩაწერა, ბ) გარდაცვალებულთა ჩაწერა. გ) უგზო უკვლოთ დაკარგულთა ჩაწერა, დ) ქორწინების ჩაწერა, ე) განქორწინების ჩაწერა, ვ) ჩაწერა განცხადებისა ჩასახულ ბავშვის კუთვნილების შესახებ, ზ) ჩაწერა იმ პირებისა, რომლებიც იცვლიან გვარებს და მეტ სახელებს.

§ 5. რეესტრებს აწარმოებენ ორ ცალად, მათგან ერთი რჩება ადგილობრივ, ხოლო მეორე ცალი წლის დამლევს, მაგრამ არა უგვიანეს ახალი წლის 15 იანვრისა, უნდა იყოს გაგზავნილი მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების მწარმოებელ ცენტრალურ განყოფილებაში.

§ 6. მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერა ცენტრალურ განყოფილებას ევალება: ა) უმაღლესი მეთვალყურეობა მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერა განყოფილებათა საქმის წარმოებისა, მათი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, ბ) საერთო აღფაბეტების შედგენა ადგილობრივ განყოფილებების ცნობების მიხედვით; ბ) გაცემა რეესტრებიდან ცნობებისა და ამონაწერებისა.

§ 7) წიგნებს აწარმოებენ იმ ნიმუშების მიხედვით, როგორსაც დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია. წიგნები გადაეგზავნებათ ადგილობრივ განყოფილებებს ზონარ გაყრილი, ბეჭედ დასმული და ცენტრალურ განყოფილების გაბგის ან და მის თანაშემწის მიერ ხელმოწერილი.

§ 8. ყოველი აქტი მოქალაქობრივ მდგომარეობისა უნდა იყოს შეტანილი სათანადო სარეგისტრაციო წიგნში №-ით, წლიური ნომერაცია ყველა წიგნისა კი უნდა იყოს გაუწყვეტელი (ე. ი. რიგზე).

§ 9. დაუშვებელია შემოკლებითი წერა ან ამოშლა ჩანაწერისა მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების წიგნებში—შესწორებები და ჩამატებები უნდა მოთავსებული იყოს აქტის ბოლოში აქტების მონაწილე პირთა ხელის მოწერამდე:

შენიშვნა: შესწორების შეტანის დროს შესასწორებელი ადგილი წვრილი ხაზებით უნდა წაიშალოს, რომ მისი წაკითხვა ადვილად შეიძლებოდეს.

§ 10. ადგილობრივ განყოფილებების აღრიცხვის წიგნში ყველა აქტი უნდა იყოს ხელმოწერილი: იმ მოხელის მიერ, რომელმაც შეიტანა აქტი, იმ პირის მიერ, რომელმაც შეატყობინა ამბავი და აგრეთვე მოწმეების მიერ, თუ აქტის შედგენა მოითხოვს მოწმეების დასწრებას.

§ 11. ჩაწერილი აქტი ხელის მოწერამდე ხმა მალე უნდა წაეკითხოს იმ პირთ, რომელნიც აღნიშნულნი არიან მე-10 მუხლში.

§ 12. ყველა ცვლილებანი ჩანაწერისა, რომელიც მოხდება სარეგისტრაციო წიგნების გარდაგზავნის შემდეგ, მოქალაქობრივ მდგომარეობის აქ-

ტების ჩაწერა ადგილობრივმა განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცენტრალურ განყოფილებას და მასვე გაუგზავნოს იმ ფურცლის ასლი, რომელშიაც შეტანილი იქნება ცვლილება.

§ 13. დავა სარეგისტრაციო წიგნებში შეტანილი ცნობების შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს წესით.

§ 14. სარეგისტრაციო წიგნში ჩაწერილის გასწორება შეიძლება მხოლოდ სახალხო მოსამართლის მოწერილობით.

§ 15. ყოველი ჩაწერა სარეგისტრაციო წიგნში ხდება წერილობითი ან სიტყვიერი განცხადების შემდეგ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერა განყოფილების სახელზე, სიტყვიერი განცხადების გამო უნდა შედგენილ იქნას სათანადო ოქმი.

თ ა ვ ი II.

§ 16. დაბადებულთა წიგნში უნდა იქმნეს ჩაწერილი დაბადება, ნაპოვნი ახლად დაბადებული ბავშვი და ცვლილება მოქალაქობრივ მდგომარეობისა ნამდვილი ჩამომავლობის მიხედვით.

§ 17. განცხადება ბავშვის დაბადების ან პოვნის შესახებ უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან დაბადებისა ან პოვნისა.

§ 18. განცხადება შეიძლება, როგორც წერილობითი ისე სიტყვიერი; განცხადებაში აღინიშნება: დღე, სათი და ადგილი დაბადებისა, სქესი, ბავშვის სახელი, გვარი, წლოვანება და მუდმივი ბინადრობა ბავშვის მშობელთა, მერამდენე ბავშვი იმავ მშობელთაგან, და მათი ეროვნება.

§ 19. განცხადება შეაქვთ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერა სათანადო ადგილობრივ განყოფილებაში ბავშვის მშობლებს ან რომელიმე მათგანს, ან სხვა პირთ, რომელთა მზრუნველობის ქვეშაც იმყოფება ბავშვი მისი მშობლების სიკვდილის, მასთან არ ყოფნის ან ავადმყოფობის გამო.

§ 20. განცხადებას უნდა დაერთოს ხელწერილი ორივე მშობელისა იმის შესახებ, რომ ბავშვი ნამდვილად მათ ეკუთვნით.

§ 21. დაბადების სინამდვილე უნდა იქმნას დადასტურებული ორი პირის მიერ, რომელთა შორის შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებელიც (17)

§ 22. თუ ტყუპი დაიბადა თვითნებულ მათგანზე უნდა იყოს შეტანილი განსაკუთრებული განცხადება, დაბადებულთა წიგნში კი ტყუპი ცალცალკე უნდა იყოს ჩაწერილი.

§ 23. განცხადება აუცილებელია მაშინაც, როდესაც ბავშვი მკვლარი დაიბადება; ამის გამო დაბადებულთა წიგნში იწერება შესაფერი შენიშვნა და იმავე დროს ჩაიწერება მიცვალბულთა წიგნშიაც.

§ 24. განცხადება ბავშვის პოვნის შესახებ უნდა შეიტანოს თვით ბავშვის მპოვნელმა.

§ 25. ბავშვის პოვნის შესახებ განცხადებასთან ერთად უნდა იქმნას წარდგენილი ადგილობ-



რივ ადმინისტრაციის თანამდებობის პირთაგან შედგენილი და შემოწმებული ოქმი, რომელშიაც ნაჩვენებია უნდა იყოს დრო, ადგილი და გარემოება ბავშვის პოვნისა, ბავშვის სქესი, აწერილობა მისი ტანის განსაკუთრებული ნიშნებისა, თუ რომ ასეთი მას აღჰოაჩნდა, რა ხნისა ბავშვი დაახლოებით, ბავშვთან ნაპოვნი ნივთები და საბუთები, რომელთა შინაარსი სიტყვა-სიტყვით უნდა იყოს აღწერილი, ოქმშივე უნდა აღინიშნოს, თუ რომელ ორგანიზაციას ან პირს გადაეცემა ბავშვი.

§ 26. იმ პირის ჩაწერა, რომლის ნამდვილი ჩამომავლობა შემდეგ გამოირკვევა, ხდება დაუყოვნებლივ, როგორც კი სათანადო სახალხო სასამართლოსაგან ცნობა იქნება მიღებული, წიგნის იმ განსაკუთრებულ შენიშვნების სვეტში, სადაც იყო ცნობები ამ პირის დაბადების შესახებ.

§ 27. ნამდვილი ჩამომავლობის დადასტურების ჩანაწერში აღინიშნება: სასამართლო, მისი დადგენილების თარიღი და №.

თ ა ვ ი III.

§ 28. მიცვალებულთა წიგნში გარდა სიკვდილისა და გვამის პოვნისა, უნდა იყოს შეტანილი აგრეთვე ის შემთხვევა, როცა სასამართლო გამოაცხადებს ვინმეს მიცვალებულათ.

§ 29. გარდაცვალების და გვამის პოვნის გამო განცხადება უნდა შეტანილი იქმნას სამი დღის განმავლობაში დღიდან მომხდარი ამბისა.

§ 30. გარდაცვალების შესახებ განცხადება უნდა შეიტანოს მიცვალებულის ნათესავმა ან ახლობელმა და, თუ ამ გვარი არ ამოჩნდება, მეზობელმა ან საადმინისტრაციო დაწესებულებამ, რომლის რაიონში მოხდა სიკვდილი. მკვდარის პოვნის შესახებ განცხადება შეაქვს აგრეთვე მპოვნელსაც.

§ 31. სიკვდილის შესახებ განცხადებაში აღინიშნება: სახელი, მამის სახელი და გვარი, დაბადების წელიწადი, უკანასკნელი ბინადრობა მიცვალებულისა, მისი ოჯახური მდგომარეობა, სიკვდილის წელიწადი, თვე და რიცხვი, მიზეზი გარდაცვალებისა, სახელი და ბინადრობა განმცხადებლისა.

§ 32. განცხადებას უნდა დაერთოს სათანადო მოწმობა სიკვდილის შესახებ, დადასტურებული ჯანმრთელობის ადგილობრივი განყოფილების ექიმისაგან ან ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლისაგან.

§ 33. განცხადება გვამის პოვნისა ან მოულოდნელ სიკვდილის შესახებ შეაქვს საპქოთა მილიციას მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერ განყოფილებაში; განცხადებას დაერთვის ოქმი შედგენილი ჯეროვანი წესით.

§ 34. ის პირნი, რომელნიც ამ დეკრეტის მე-16 და 29 §§-ში აღნიშნულ განცხადებას სურს არ წარადგენენ ან არ წარადგენენ თავის დროზე, დაისჯებიან სათანადო სახალხო სასამართლოს მიერ.

§ 35. სახალხო მოსამართლემ უნდა აცნო

ბოს მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერ განყოფილებას, სადაც დაგროვილია ცნობები დაბადების შესახებ, ყოველი შემთხვევა, როდესაც კი სასამართლო ვისმეს აცხადებს მიცვალებულად.

§ 36. ჩანაწერში ამის შესახებ უნდა იქმნას აღნიშნული, რომ ჩაწერა ხდება სასამართლოს დადგენილების თანახმად, რომელმაც იცნო მოქალაქე მიცვალებულად: უნდა აღინიშნოს აგრეთვე თვით სასამართლო, № დადგენილების და მისი თარიღი.

§ 37. ჩაწერა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ სასამართლოსაგან ცნობის მიღების თანავე.

§ 38. მე-35—37 მუხლებში დაკანონებული წესები ვაერცოდება აგრეთვე იმ პირებზედაც, რომელთაც სასამართლო გამოაცხადებს უკვალოდ დაკარგულად და ჩაწერა მათი ხდება დაკარგულთა წიგნში.

§ 39. მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერ განყოფილებას ევალება არა უგვიანეს ორი დღისა ჩაწერის შემდეგ აცნობოს სათანადო თემის, მაზრის ან ქალაქის დეპუტატთა საბჭოს მოქალაქის უკანასკნელ მისამართთან ერთად, ყველა შემთხვევა გარდაცვალებისა, მიცვალებულად გამოცხადებისა ან უკვალოდ დაკარგვისა.

კარი მეორე

თ ა ვ ი I.

§ 40. ქორწინება სწარმოებს საჯაროდ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერ ადგილობრივ განყოფილებასთან საგანგებოთ დანიშნულ შენობაში.

შენიშვნა: გარდა ამ შენობისა დაქორწინება შეიძლება მოხდეს გემზე ნაოსნობის დროს, ჯარში—ომიანობის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც თუ ექიმის მოწმობით საქმროს ან საცოლოს ავადმყოფობის გამო არ შეუძლიან მისვლა სათანადო ადგილას, ხოლო ამ შემთხვევაშიაც დაქორწინება ხდება საჯაროთ.

§ 41. ქორწინებას ესწრება მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერ განყოფილების წარმომადგენელი და წიგნების მწარმოებელი.

§ 42. ქორწინება სწარმოებს განსაზღვრულ დღეს და საათში, რომელსაც თავის დროზე დანიშნავს განყოფილება.

§ 43. მექორწინენი წერილობით ან სიტყვიერად განაცხადებენ თავის სურვილს ქორწინებაზე მოქალაქობრივ მდგომარეობის ადგილობრივ განყოფილებაში თავიანთი ბინადრობის მხედვით.

§ 44. განცხადებასთან უნდა იქმნას წარადგენილი: მექორწინეთა პაროვნების მოწმობა, მათი ხელწერილი, რომ ისინი იგი ნებთ ქორწინდებიან და არავითარი დაბრკოლება, რომელც აღნიშნულია მე-70—71 მუხლებში მათ არ ებეზათ, აგრეთვე ექიმის მოწმობა მომავალ მეთუ-

საქართველოს
სახალხო
კომისარიატი
გეგლითმება



თ ა ვ ი II.

შენიშვნა: მექორწინეთა პიროვნების და-
დასტურებისათვის საქიროთა მოწმობები, მოწ-
მეთა ჩვენება და სხვა საშუალება, რასაც
მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამ-
წერ განყოფილების გამგე მიიჩენს საკმაოდ.

§ 45. ჩანაწერის შინაარსს საჯაროთ წაუკით-
ხავენ მექორწინეთ, რომელნიც ხელს მოაწერენ, --
ამის შემდეგ ქორწინება შედის კანონიერ ძალაში,
რის დასამტკიცებლად დაქორწინებულთ სურვილი-
სამებრ ეძლევათ ამონაწერი წიგნიდან.

§ 46. ქორწინება ჩაწერება მოქალაქობრივ
მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ გან-
ყოფილების მიერ სათანადო წიგნში.

§ 47. დაქორწინების სურვილის განცხადების
მიღების თანავე, რომელსაც დართული უნდა ქონ-
დეს მე-44 მუხლში მოხსენებული ქალღმერთი, გან-
ყოფილების გამგე ჰკითხავს მექორწინეთ, რა გვა-
რის ტარება სურთ მათ და ამის შემდეგ დაქორწი-
ნებას ჩასწერს სათანადო წიგნში.

§ 48. მექორწინე უნდა იყოს სულით ჯან-
მრთელი, და აგრეთვე მისი ფიზიკური სიმრთელე
არ უნდა წარმოადგენდეს საშიშროებას მეორე მხა-
რის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

§ 49. თუ წიგნში ჩაწერის დათავებამდე, ვინ-
მემ შემოიტანა განცხადება რომ დაქორწინებას
ეღობება კანონიერი რამ დაბრკოლება, ჩაწერა შე-
ჩერდება, სანამ სათანადო სახალხო სასამართლო
არ გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას.

§ 50. აშკარად დაუსაბუთებელი განცხადება
ქორწინების წინააღმდეგ შეიძლება დატოვებულ
იქმნას სრულიად უყურადღებოდ. განყოფილების
მიერ უარის თქმა დაქორწინებაზე განისაზივრება
ვადის დაუდებლად სახალხო სასამართლოს იმ რა-
იონში, სადაც მოქალაქობრივ მდგომარეობის აქ-
ტების ჩაწერის განყოფილება არის.

§ 51. დაქორწინების აქტის გაუქმებისათვის
შეიძლება აღძრან საჩივარი მეუღლეებმა, იმ პი-
რებმა, რომელთა ინტერესები დარღვეულია ამ
ქორწინებით და სახელმწიფო ხელისუფლების წარ-
მომადგენელებმა.

§ 52. იმ შემთხვევაში, თუ წინანდელი ქორ-
წინების წიგნები დაიკარგა ან როგორმე დაიღუპა
ანდა სხვა რაიმე პირობების გამო დაქორწინებულ
პირთ არა აქვთ საშუალება მიიღონ ამონაწერი თა-
ვიანთ ქორწინების შესახებ, მათ ეძლევათ უფლება
შეიტანონ განცხადება თავიანთ ბინადრობის მი-
ხედვით სათანადო მოქალაქობრივ მდგომარეობის
აქტების ჩამწერ განყოფილებაში, სადაც აღნიშნა-
ვენ, რომ ისინი ქორწინებაში არიან ამა და ამ
დროიდან. -- ცოლ-ქმრის ხელმოწერით დადასტუ-
რებული ასეთი განცხადება იმის შესახებ, რომ
ქორწინების წიგნი ნამდვილად დაიღუპა ანდა სხვა
საპატიო მიზეზების გამო მათ არ შეუძლიანთ მი-
იღონ ქორწინების ამონაწერი, ითვლება საკმარისად
იმისათვის, რომ ქორწინება ანლად იქმნას
ჩაწერილი.

§ 53. განქორწინება, გარდა იმისა, რომ ჩაი-
წერება განქორწინების წიგნში, უნდა იყოს ჩანიშ-
ნული იმ ქორწინების წიგნის შენიშვნათა განსა-
კუთრებულ სვეტში, სადაც ჩაწერილია თვით ქორ-
წინების აქტი. -- ამ კანონის გამოქვეყნებამდე შეს-
რულებული ქორწინებანი შეიძლება გაუქმებულ
იქმნას ამ ახალი კანონის თანახმად იმ განყოფი-
ლების მიერ, რომლის რაიონში სცხოვრობენ ორი-
ვე მხარე, ან ერთი მათგანი.

§ 54. სასამართლოს დადგენილების ძალით
მომხდარი განქორწინება დაუყოვნებლივ უნდა ჩა-
იწეროს სარეგისტრაციო წიგნში სადაც ავრეთვე
უნდა აღინიშნოს სასამართლოს სახელი, რომელ-
მაც გადმოგზავნა დადგენილება, № და თარიღი
მისი.

§ 55. თუ თხოვნა განქორწინების შესახებ
შეტანილია მე-88 მუხლის წესის თანახმად პირდა-
პირ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ
განყოფილებაში, განყოფილების გამგე, ვიდრე ჩას-
წერდეს განქორწინების აქტს სარეგისტრაციო
წიგნში, უნდა დარწმუნდეს, რომ თხოვნა განქორ-
წინების შესახებ შეტანილია ორივე მეუღლეთაგან.

თ ა ვ ი III.

§ 56. იმ პირთ, რომელთა ქორწინებაც გა-
უქმებული არის, შეუძლიანთ კვლავ შეუღლდნენ
საერთო წესების მიხედვით.

§ 57. განქორწინების შესახებ თხოვნას თან
უნდა ჰქონდეს დართული ქორწინების მოწმობა,
მაგრამ, თუ მთხოვნელს ასეთი მოწმობა არა აქვს,
იგი წარადგენს ხელწერილს, რომ იგი დაქორწი-
ნებულია, აღნიშნავს ადგილს, სადაც დაქორწინდა
და იმას, რომ პასუხის მგებელია ამ ცნობის სიმა-
რთლეში.

§ 58. როდესაც ადგილობრივი განყოფილება
დარწმუნდება, რომ განქორწინებას ნამდვილად
თხოულობენ ორივე მეუღლენი, ჩასწერს განქორ-
წინების აქტს წიგნებში და განქორწინებულთა სუ-
რვილისამებრ მისცემს სათანადო მოწმობას.

§ 59. ის განყოფილება, სადაც შესრულე-
ბული იყო ქორწინება, განქორწინების შესახებ გან-
ცხადებას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე
მხარე თანახმა არის განქორწინებაზე.

§ 60. თხოვნაში განქორწინების შესახებ უნდა
იყოს აღნიშნული, თუ რა გვარი უნდა ატარონ
ყოფილ მეუღლეთ მომავალში, თუ ამის შესახებ
შეთანხმება არ მოხდა მათ შორის, ისინი ატარებენ
იმ გვარს, რომელიც მათ ჰქონდათ ქორწინებამდე.

§ 61. ის პირები რომელთაც სურთ გამოიც-
ვალონ გვარი ან საგვარეულო მეტ-სახელი მიმარ-
თავენ თავიანთ ბინადრობის მიხედვით მოქალაქო-
ბრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ
განყოფილებას და პირადად წარუდგენენ წერილო-
ბით განცხადებას, რომელსაც დაურთავენ პიროფ-



ნების დამადასტურებელ საბუთებს ან ამ საბუთების სათანადო შემოწმებულ ასლებს.

§ 62. განცხადების შესახებ ადგილობრივ განყოფილება შეადგენს ოქმს, გამოაქვეყნებს ამ ოქმს არა უგვიანეს ორი კვირისა მთავრობის გაზეთში, იმავე დროს გადაგზავნის მთავრობის ცენტრალურ გაზეთში გამოსაცხადებლათ და აგრეთვე აცნობებს იმ დაწესებულებათ, რომელნიც აწარმოებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სიებს.

შენიშვნა: დაწესებულებანი, რომელნიც აწარმოებენ პასუხისმგებლობის სიებს, აწარმოებენ აგრეთვე გვარ გამოცვლილ პირთა სიებს და პერიოდულად აქვეყნებენ მათ.

§ 63. ორი თვის შემდეგ დღიდან გამოცხადებისა ცენტრალ ხელისუფლების გაზეთში იმ პირს, რომელმაც გამოიცვალა თავისი გვარი ან სახელწოდება, უფლება აქვს მოითხოვოს რომ იგი შეტანილ იქმნას ახალი სახელით ყველა მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში.

§ 64. მეუღლე იმ პირისა, რომელმაც გამოიცვალა გვარი ან დარქმეული სახელი და მათი თვრამეტ წელს გადაცილებული შვილები მოიქცევიან შემოაღნიშნულ წესით, თავის თანხმობის ან უთანხმოების შესახებ განცხადება მშობლებთან ან მეუღლესთან ერთად ან და დამოუკიდებლად შეაქვთ სათანადო მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში.

თ ა ვ ი IV.

§ 65. ქორწინების გარეშე დაორსულებულ ქალს არა უგვიანეს სამი თვისა განთავისუფლებამდე, შეაქვს თავისი ბინადრობის მიხედვით ადგილობრივ აქტების განყოფილებაში განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს ჩასახვის დროს, სახელს, მამის სახელს, გვარს და ბინადრობას ჩასახულის მამისას.

შენიშვნა: ამ გვარივე განცხადების შეტანა შეუძლიან ქმრიან ქალსაც, თუ იგი დაორსულდა არა კანონიერ ქმრისაგან.

§ 66 განცხადების შესახებ ადგილობრივი განყოფილება აცნობებს იმ პირს, რომელიც დასახელებულია მამათ (§—65). ამ უკანასკნელს ორი კვირის ვადაში დღიდან ცნობის მიღებისა, ნება აქვს დავა აღძრას დედის წინააღმდეგ მისი განცხადების გამო, თუ ამ ვადაში ასეთი დავა არ აღიძრა, ბავშვის მამათ ჩაითვლება დედისაგან დასახელებული.

§ 67. საქმე მამობის ცნობის შესახებ განიხილება საზოგადო წესით, ხოლო მხარეები ვალდებულინი არიან სთქვან სიმართლე, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებენ, როგორც ყალბი ჩვენებისათვის.

მატერიალური უფლება.

თ ა ვ ი V.

§ 68. მექორწინენი უნდა იყვნენ სრულ ასაკისანი: ქალი არა ნაკლებ 15 წლისა, ვაჟი 17 წლისა.

§ 69. მექორწინე უნდა იყოს სულთმეობრივი მართელი, ხოლო მისი ფიზიკური სიმართლე არ უნდა წარმოადგენდეს საშიშროებას მეორე მხარის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

§ 70. დაქორწინება არ შეუძლიანთ იმ პირთ, რომელთა ქორწინება უკვე არის აღნიშნული მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტში ან რომელნიც იმყოფებიან ისეთ ქორწინებაში, რომელსაც აქვს კანონიერი ძალა.

§ 71. დაქორწინება არ შეუძლიანთ ამაველ და შთამავალ შტოთა ნათესავთ, აგრეთვე დვიძლ დამას და იმ და-ძმას, რომელთაც ან მამა ჰყავთ ერთი, ან დედა.

შენიშვნა: ამ გვარივე დაბრკოლებას წარმოადგენს ის ნათესაობაც, რომელსაც ჰქმნის ქორწინების გარეშე კავშირი.

§ 72. ქორწინების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მექორწინეთა თანხმობით.

§ 73. ქორწინებისათვის დაბრკოლებად არ ჩაითვლება მექორწინეთა სარწმუნოების სხვა და სხვაობა.

§ 74. ქორწინებისათვის დაბრკოლებად არ ჩაითვლება მონაზნობა, ჰღვდლობა და მთავარ დიაკვნობა.

§ 75. არ აღეკრძალება დაქორწინება იმ პირს, რომელსაც აქვს დადებული უქორწინობის აღთქმა, თუნდაც ეს პირი ეკუთვნოდეს სასულიერო წოდებას: სამღვდელეობას (კათოლიკეთა) ან მონაზონობას.

ქორწინების გაბათილება.

თ ა ვ ი VI.

§ 76. ქორწინების აქტი შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო კანონების მოთხოვნები იქნება დაკმაყოფილებული.

§ 77. საქმე ქორწინების გაბათილების შესახებ ექვემდებარება ადგილობრივ სახალხო სასამართლოს.

§ 78. გაბათილებულად ჩაითვლება ქორწინება, რომელიც შესრულებულია მექორწინეთა ან ერთის მათგანის საქორწინო წლოვანობის შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა: ა) როდესაც დავა აღიძვრება მეუღლეთა საქორწინო პასაკის შესრულების შემდეგ ან ბ) როდესაც ქორწინებას ჰქონდა შედეგათ შვილის ყოლა ან ცოლის ორსულობა.

§ 79. ნამდვილი არ არის ქორწინება იმ პირთა, რომელნიც ქორწინების აქტის შესრულების დროს სულით ავადმყოფნი იყვნენ ან იმყოფებოდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიაც არ შეეძლოთ შეგნებულად მოქმედება და გაგება თავიანთი ნაბიჯის მნიშვნელობისა.

§ 80. ქორწინება, შესრულებული იმ დროს, როდესაც რომელიმე მექორწინეთაგანი იმყოფებოდა სხვა კანონიერ ქორწინებაში და ეს ქორწინება არ იყო გაუქმებული არც სიკვდილით, არც განქორწინებით, არ არის ნამდვილი.



§ 81. იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე ქორწინება გაბათილებულია 78—80 მუხლების თანახმად, წინა ქორწინება რჩება თავის ძალაში და დამნაშავე ორ ქორწინებაში მიიცემა პასუხის გებაში სისხლის სამართლის წესით.

§ 82. ქორწინება, როდესაც ერთ-ერთი მე-ქორწინეთაგანი არ აცხადებს თანხმობას შეუფენებლად ან ძალდატანებით, არ არის ნამდვილი.

§ 83. ყველა ის ქორწინება, რომელიც შესრულებული არის აქამდე მომქმედ კანონის 1914 წლის მე-10 ტომის 1 ნაწილის მე 23-მე მუხლის დარღვევით, ითვლება კანონიერად, თუ დაქორწინებულნი არ არიან ამავალ და შთამავალ შტოთა ნათესავნი, მკვიდრი და-ძმანი ან დედით გინა მამით ერთნი.

§ 84. ქორწინების გაბათილების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე, ქორწინება დღიდან მისი შესრულებისა ითვლება გაუქმებულად.

თ ა ვ ი VII.

ქორწინების მოსაოგა

§ 85. ქორწინება ისპობა ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის ან მისი მიცვალებულად გამოცხადების გამო სასამართლოს წესით.

§ 86. ქორწინება მეუღლეთა სიცოცხლის დროს ისპობა განქორწინებით.

შენიშვნა: ყველა ამ კანონის დადგენილებანი ვრცელდება იმ საეკლესიო და რელიგიური წესით შესრულებულ ქორწინებებზე, რომელთაც მკორდათ ადგილი ამ კანონის გამოქვეყნებამდე.

§ 87. განქორწინებას შეიძლება დაედვას საფუძველად, როგორც მეუღლეთა განცხადება განქორწინების სურვილის შესახებ, ისე განშორების სურვილი ერთ-ერთ მათგანისა.

§ 88. თხოვნა განქორწინების შესახებ შეაქვთ სახალხო სასამართლოში მეუღლეთა ბინადრობის მიხედვით, ან იმ სასამართლოში, რომელსაც ისინი აირჩევენ. მაგრამ თუ თხოვნის შემტანი არის მხოლოდ ერთი მეუღლეთაგანი იგი თხოვნას შეიტანს სასამართლოში თავის ბინადრობის მიხედვით.

შენიშვნა: თუ სასამართლოში გამოსაწვევ მეუღლის ბინადრობა არ იციან, აგრეთვე თუ თხოვნა შეიტანა განქორწინების შესახებ მართო ერთმა მხარემ თავის ბინადრობის სასამართლოსთან, მეორე მხარის გამოწვევა მოხდება იმ წესით, როგორითაც იწვევენ მოპასუხეს, რომლის მისამართიც არ იციან (ვაზეთში გამოცხადებით).

§ 89. ქორწინების გაუქმების ან ერთ-ერთ მეუღლეთაგანის სიკვდილის შემდეგ არ შეიძლება დაწყებულ იქმნას საქმე განქორწინების შესახებ, ხოლო ადრე დაწყებული საქმე ისპობა.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი.

§ 90. ცოლქმარი ატარებს საერთო გვარს (ქორწინების გვარი).—ქორწინების შესრულებისას მათ ეძლევათ უფლება აირჩიონ გვარი ქმრისა (სასიძოსი) ან ცოლის (სარძლოსი) ან ორივეს შეერთებული გვარი.

§ 91. მეუღლენი ატარებენ თავიანთ საქორწინო გვარს სანამ იმყოფებიან ქორწინებაში; ასევე ქორწინების აქტის მოსპობის შემდეგაც ერთი მათგანის სიკვდილის ან სასამართლო წესით მიცვალებულათ აღიარების გამო.

§ 92. თუ მექორწინენი სხვა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, მოქალაქობის გამოცვლა შეიძლება მოხდეს საზოგადო წესით, სასიძოს ან სასიძლოს ამის სურვილის გამოცხადების შემდეგ.

§ 93. ერთი მეუღლის მიერ ბინადრობის გამოცვლა არა ქმნის ვალდებულებას, რომ მეორე მეუღლეს მიჰყვეს მას.

§ 94. ქორწინება არა ქმნის მეუღლეთა ქონების გაერთიანებას.

§ 95. მეუღლეთ ნება აქვთ შეეკრან ერთმანეთს ყოველ გვარ ნება დართულ ქონებრივ ხელშეკრულებით.—მეუღლეთა შორის შეთანხმებას, რომელიც მიმართულია ქმრის ან ცოლის ქონებრივ უფლების შემცირებისაკენ, არა აქვს ძალა და არ არის სავალდებულო, როგორც მესამე პირთათვის ისე ცოლქმრისათვის, რომელთაც უფლება ეძლევათ ყოველთვის უარი განაცხადონ ასრულებაზე.

§ 96. გაქირვებულ (ე. ი. რომელსაც არა აქვს საზრდო მინიმუმი) და შრომის უნარ დაკარგულ მეუღლეს ნება აქვს მიიღოს საჩიო მეორე მეუღლისაგან, თუ ამ უკანასკნელს შეუძლიან დახმარების აღმოჩენა.

§ 97. თუ მეუღლეს არ სურს შენახვა თავის გაქირვებულ ან შრომის უნარ მოკლებულ მეუღლისა, ამ უკანასკნელს უფლება აქვს მიმართოს განცხადებით მოპასუხე-მეუღლის ბინადრობის სახალხო სასამართლოს და ითხოვოს, რომ მას მიეცეს საზრდო.

შენიშვნა: საგანგებო მოწმობის წარმოუდგენელად შრომის უნარ დაკარგულად ჩითვლება არა სრულ წლოვანი (18 წლ.); მამაკაცი 55 წლ. და დედა-კაცი 50 წლ.

§ 98. როდესაც ქორწინება ისპობა სიკვდილით ან ერთ-ერთ მეუღლეთაგანის სასამართლოს წესით მოცვალებულად გამოცხადებით, გაქირვებული და შრომის არ შემძლე მეუღლე ღებულობს საჩიოს მეორე მეუღლის დარჩენილ ქონებიდან.

§ 99. ასეთივე უფლება აქვს იმ გაქირვებულ ან შრომის უნარ დაკარგულ პირს, რომელთა მეუღლე სასამართლოს წესით გამოცხადებული არის დაკარგულად.



ეროვნული
საინფორმაციო
სისტემა

§ 100. თუ გარდაიცვალა ან სასამართლომ მიცვალებულად ან დაკარგულად გამოაცხადა რომელიმე სავაჭრო ან სამრეწველო წარმოების პატრონი, დარჩენილ მეუღლეს სარჩო ეძლევა წარმოების შემოსავლიდან, რომელიც (წარმოება) გადადის ადგილობრივ დეპუტატთა საბჭოს გამგებლობაში.

§ 101 დაშთენილი მეუღლე ღებულობს სარჩოს მიცვალებული მეუღლის ქონებიდან ისევე, როგორც მიცვალებულის ნათესავები თანასწორად, ხოლო უპირატესობა ეძლევა მიცვალებულის მევალებთან.

§ 102. თუ მიცვალებულის ქონება არ აღემატება ათი ათას მანეთს, კერძოთ, თუ იგი შესდგება სახლიდან, საოჯახო მოწყობილობიდან, შრომის მეურნეობის საწარმოო იარაღიდან, ქალაქში ან სოფლად, ყველა ეს გადადის დაშთენილ მეუღლის განკარგულებაში, იგი მას მართავს თანაბრათ მიცვალებულის ნათესავებთან, რომელთაც კი აქვთ ასეთივე უფლება მიიღონ ეს ქონება თავიანთ გამგებლობა — განკარგულებაში.

შენიშვნა: თუ ვინიცოდაა დავა ატყდა მიცვალებულის მეუღლესა და მის ნათესავთა შორის ამ მუხლში მოხსენებულ დაშთენილი ქონების მართვა გამგებლობის შესახებ, საქმეს სწყვეტს ადგილობრივი სახალხო სასამართლო.

§ 103, იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ქორწინება ისობა განქორწინებით, გაქირვებულს და შრომის უნარის არ მქონე მეუღლეს რჩება უფლება მიიღოს მეორე მეუღლისაგან სარჩო, სანამ არ გამოიცვლება პირობა, რომლის მიხედვითაც აღებდა სარჩოს.

**კ ა რ ი მ ე ს ა მ ე
ჩამომავლობა.**

თ ა ვ ი I.

§ 104. ოჯახის საფუძველად ითვლება წამდელი ჩამომავლობა, — ნათესაობა, რომელსაც ქმნი ქორწინება არაფრით არ განსხვავდება ამ ნათესაობიდან, რომელსაც ქმნის ქორწინების გარეშე კავშირი.

შენიშვნა: 1. ბავშვები თანასწორნი არიან ყველა უფლებებში, მიუხედავად იმისა, ჩამომავლობენ ისინი დაქორწინებულ თუ უქორწინო მშობელთაგან.

შენიშვნა: 2. ამ მუხლის დადგენილება ვრცელდება იმ ბავშვებზედაც, რომელნიც დაბადებულნი არიან ქორწინების გარეშე ამ კანონის გამოქვეყნებამდე.

§ 105. ბავშვის დედ-მამათ ითვლებიან ისინი, ვინც არიან ჩაწერილნი მშობლებათ დაბადებულთა წიგნებში.

§ 106. თუ წიგნებში არ მოიპოვება ცნობა მშობელთა შესახებ ან ეს ცნობები არ არის სრული და მართალი, დაინტერესებულ პირთ აქვთ უფლება სასამართლოს წესით გაასწორონ ასეთი ცნობები და დაამტკიცონ, ვინ არიან მათი დედ-ამანი.

შენიშვნა: საქმე ჩამომავლობის შესახებ ექვემდებარება ადგილობრივ სახალხო სასამართლოს.

§ 107. ბავშვის ნამდვილი ჩამომავლობის შესახებ საქმის აღძვრა შეუძლიანთ დაინტერესებულ პირთ, მათ შორის დედას მაშინაც კი, როცა ბავშვის მშობლებათ ჩაწერილნი არიან ის პირნი, რომელნიც ბავშვის ჩასახვის ან დაბადების დროს იყვნენ მეუღლეებათ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ან მათ თანასწორ საბუთების მიხედვით.

თ ა ვ ი II.

ბავშვთა და მშობელთა პირადი უფლება-მოვალეობანი.

§ 108. ბავშვები, რომელნიც ჩამომავლობენ რეგისტრაცია ქმნილ ქორწინებიდან, ატარებენ მშობლების გვარს. — ბავშვებს, რომელთა მშობლების ქორწინება არ არის ჩაწერილი, შეუძლიანთ ატარონ მამის, დედის ან შეერთებული მათი გვარი. ამისთანა ბავშვებს გვარს უწესებენ მშობლები ერთმანეთთან შეთანხმებით და, თუ შეთანხმება არ მოხდა, სასამართლოს წესით.

§ 109. როდესაც ქორწინება ისობა განქორწინებით ან გაბათილებით, მშობლების შეთანხმებაზე დამოკიდებული, თუ რომელ აღნიშნულს მე 90 § ში სამ გვართაგანს ატარებენ ბავშვები. — თუ შეთანხმება არ მოხდა, ადგილობრივი სახალხო მოსამართლე აწესებს გვარს და თუ დავა ატყდა — ადგილობრივი სახალხო სასამართლო.

§ 110. თუ მშობლები სხვა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, (თუ ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა) ბავშვების მოქალაქობა წესდება მშობლების წინასწარ შეთანხმებით, რის შესახებაც მათ უნდა განაცხადონ ქორწინების შესრულების დროს მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერის განყოფილებაში.

შენიშვნა: თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხში, ბავშვები ითვლებიან საქართველოს მოქალაქეებათ, ხოლო სრულწლოვანებისას მათ ეძლევათ უფლება განაცხადონ სურვილი შესახებ მეორე მშობლის მოქალაქობის მიღებისა.

§ 111. მშობლებს შეუძლიანთ შეთანხმდნენ, თუ რომელი სარწმუნოების აღმასრულებელნი უნდა იყვნენ თოთხმეტ წლამდე მათი შვილები. — თუ შეთანხმება არ მოხდა ბავშვები თოთხმეტ წლამდე არ ეკუთვნიან არც ერთ სარწმუნოებას.

შენიშვნა: მშობელთა შეთანხმება თავიანთი შვილების სარწმუნოების შესახებ უნდა იქმნას შეკრული წერილობით.

§ 112. მშობლის უფლება შვილზე ვრცელდება 17 წლამდე ვაჟისათვის და ქალზე 15 წლამდე.

§ 113. მშობლები ერთად ანხორციელებენ თავიანთ უფლებას შვალზე.

§ 114. ყველა ზომები უკლებიან შესახებ მიიღება მშობელთაგან ერთმანეთთან თანხმობით.

§ 115. მშობელთა უთანხმოების დროს სადაო კითხვა მათივე მონაწილეობით უნდა გადასწყდეს ადგილობრივ სახალხო სასამართლოში.

§ 116. მშობელთა უფლება დაარსებულია მათ შვილთა სასარგებლოთ და თუ ეს უფლება უმართლოდ ხორციელდება, სასამართლოს ნება აქვს ახადოს მათ იგი.

§ 117. მშობლები მოვალენი არიან იზრუნონ თავიანთ მცირე წლოვან შვილებზე, მათ აღზრდაზე და მომზადებაზე სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

§ 118. ბავშვების პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა მათი მშობლების მოვალეობაა, რომელნიც სასამართლოში ან მის გარეშე არიან მათი წარმომადგენელნი, მიუხედავად იმისა დანიშნულნი არიან ისინი შეურყვეთ ან მზრუნველებათ თუ არა.

§ 119. მშობლები ვალდებული არიან იყოლიონ ბავშვები თავისთან და უფლება აქვთ მოითხოვონ მათი დაბრუნება, თუ ვინმე სხვა კანონის ან სასამართლოს დადგენილების გარეშე აკავებს მათ.

§ 120. მშობლებს აქვთ უფლება მისცენ თავისი ბავშვები სწავლა-აღზრდაზე, ხოლო მშობლებს ნება არა აქვთ დასდონ 16 ან 17 წლის ბავშვებისათვის შრომის გაქირავების ხელშეკრულება მათ დაუკითხავად.

§ 121. თუ მშობლები არ ცხოვრობენ ერთად, მათ შეთანხმებაზე და მოკიდებული რომელ მათთაგანთან იცხოვრონ მცირე წლოვანმა ბავშვებმა. თუ შეთანხმება არ არსებობს სადაო საკითხს გადასწყვეტს ადგილობრივი სახალხო სასამართლო.

§ 122. თუ სასამართლომ აღკვეცა მშობელთა უფლება ბავშვებზე, სასამართლო ვალდებულია ნება დართოს მშობლებს შვილების ნახვისა, თუ ის გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მიჩნეული იქნება ბავშვთათვის მავნებლად.

თ ა ვ ი III.

ქონებრივი უფლება ბავშვთა და მშობელთა.

§ 123. შვილებს არა აქვთ უფლება მშობლების ქონებაზე, ისე როგორც არც მშობლებს აქვთ უფლება შვილების ქონებაზე.

§ 124. მშობლები ვალდებული არიან ასაზრდოონ და არჩინონ თავიანთი მცირე წლოვანი, შრომის არ შემძლე და უღონო ბავშვები.

შენიშვნა: ეს მოვალეობა აეხდება მშობლებს იმდენად, რამდენადც ბავშვები გამხდარან სახელმწიფოს ან საზოგადოების საზრუნავი.

§ 125. ბავშვების რჩენა-საზრდოობა თანაბრათ ევალება მშობლებს და რაოდენობა მასაცემ საზრდოსი განისაზღვრება მათი ქონებრივი შეძლებით, ხოლო ეს საჩიო არ უნდა იქმნას ნახევარზე ნაკლები იმ მინიმუმისა, რომელიც ადგილობრივ პირობათა მიხედვით საჭიროა ბავშვის შენახვისათვის. თუ შვილებს არ შეუძლიანთ მთლად გადიხადონ თავიანთი წილი, ისინი იხდიან მხოლოდ ნაწილს.

§ 126. შვილები ვალდებული არიან ქარიან წინააღმდეგ ნონ თავიანთი გაქირვებულნი და მშობლები და კარგულნი მშობლები, თუ უკანასკნელთ არ ეძლევა საჩიო-საბადებელი სახელმწიფოდან ავადმყოფობისა და მოხუცებულობის დაზღვევის კანონის ძალით, ან სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებიდან.

§ 127. თუ მშობლებს არ უნდა ნებაყოფლობით არჩინონ თავიანთი შვილები, აგრეთვე თუ შვილებს არ უნდათ ასაზრდოონ თავიანთი მშობლები, სათანადო შემთხვევაში (124—126 მ. მ.). იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ მოითხოვონ საჩიო, ნება ეძლევათ მიმართონ წესს, აღნიშნულს მე-97 მუხლში ამა კანონისა.

§ 128. შვილების უფლება მშობლებთან საჩიოს მიღებისა და ასეთივე მშობლების უფლება შვილისაგან საზრდოობისა იმ შემთხვევაში, რომელიც ნაჩვენებია მე-124—125 მუხლებში, დაკუთლია მაშინაც კი, როცა ქორწინება მშობლებისა მოსპობილია განქორწინებით, ერთ-ერთის სიკვდილით ან ქორწინების გაბათილებით.

§ 129. მშობლიურ უფლებათა ახდა არ ან თავისუფლებს მშობლებს ასაზრდოონ თავიანთი შვილები.

§ 130. მშობლების ან ერთ მათგანის სიკვდილის შემდეგ, აგრეთვე შვილების სიკვდილის შემდეგ, გაქირვებულ და შრომის უნარ მოკლებულ მშობლებს და ბავშვებს საჩიო ეძლევათ მიცვალებულთა ქონებიდან იმ წესით, რომელიც დადგენილია მე-101 მუხლში ამა კანონისა.

შენიშვნა: ეს მუხლი ვრცელდება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მოქალაქე გამოცხადებულია მიცვალებულათ ან დაკარგულად.

§ 131. იმ შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია მე-102 მუხლში, ბავშვები და მშობლები შედიან პირდაპირ მართვა-გამგებლობაში და შეენილ ქონებისა თანაბრად იმ პირთა, რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ ეს ქონება სასამართლოდ და საგამგებლოთ.

თ ა ვ ი IV.

ნათესავთა უფლება ვალდებულებანი

§ 132. გაქირვებულ (ე. ი. რომელთაც არა აქვთ საცხოვრებელი მინიმუმი) და შრომის უნარ დაკარგულ პირდაპირ ამაველ და შთამავალ ნათესავთ, მკვიდრთ ან დედიტ ან მამით ერთს და ძმათ აქვთ უფლება მიიღონ საჩიო თავიანთ შეძლებულ ნათესავთაგან.

შენიშვნა: ნათესაობა ქორწინებისა თუ უქორწინო, თანასწორია.

§ 133. ნათესავნი პირდაპირ ამაველ და შთამავალ შტოთა და ძმანი ზემოთ ნაჩვენები თანდათანობით, ვალდებული არიან მიუჩინონ საჩიო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქირვებულ ნათესავთ არ ძალუძთ მიიღოს საჩიო შეუღლებსაგან, შვილთაგან ან მშობელთაგან იმის გამო, რომ ეს უკანას-



კნელნი ან არ იმყოფებიან ან და თითონ ხელმოკ-
ლენი არიან.

§134. თუ ვინიცობა ნათესავეს არ სურთ
აძლიონ სარჩო თავიანთ გაჭირვებულ ან შრომის
არ შემძლე ნათესავთ, უკანასკნელთ უფლება ეძ-
ლევათ იძიონ სარჩო იმ წესით, რომელიც ნაჩვენ-
ებია მე-27, 124, და 126 მუხლებში.

§ 135. ის პირნი, რომელნიც თანასწორად
ვალდებულნი არიან აძლიონ საზრდო, პასუხს აგე-
ბენ ერთნაირად იმ გამონაკლისით თუ სასამართლო
სცნობს, რომ მოვალენი ქონებრივად არ არიან
თანასწორნი, ან რომელიმე მათგანი გასულა, ან
კიდევ თუ მოიძებნება სხვა რაიმესაბატიო მიზეზი,
ამ შემთხვევაში სასამართლო თვითონ აირჩევს მო-
პასუხეთა მოვალეობის რაოდენობას.

§ 136. სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე
თუ არ შეიძლება დაუყონებლივ მოეთხოვოს სარ-
ჩოს ვალება პირდაპირ მოვალე ნათესავს, ეს მო-
ვალეობა დააკისროს სხვა ვალდებულ პირთ იმ პი-
რობით რომ ამ უკანასკნელს უფლება რჩება ძიე-
ბისა იმ პირთა მიმართ, რომელნიც ითვლებიან პირ-
დაპირ მოვალეებად

§ 137. სარჩოს მიცემა შეიძლება იქნას უზ-
რუნველ ყოფილი სასამართლოსაგან იმ პირის ქო-
ნებით, რომელიც ვალდებულთა ვაილოს სარჩო.

შენიშვნა: უზრუნველობის ზომა შეიძ-
ლება მიღებულ იქნას სასამართლოში საქმის
გათავებამდეც.

§ 138. სარჩოს უფლების უარის თქმის პირო-
ბა არ არის ნამდვილი.

§ 139. ნათესავის სიკვდილისა, სასამართლოს
წესით მისი მიცვალებულებში, ან დაკარგულებში
გამოცხადების შემდეგ ის პირნი, რომელნიც აღ-
ნიშნული არიან მე 132 მუხლში ღებულებენ სარ-
ჩოს დაშთენილ ქონებიდან ნაჩვენებ მე 92, 102
და 131 მუხლებში წესრიგით.

§ 140. თუ დაშთენილი ქონება საკმარისი არ
არის დააკმაყოფილოს ყველა, რომელსაც აქვს სარ-
ჩოს უფლება, პირველ ყოვლისა დაკმაყოფილებას
მიიღებენ მათგან უფრო გაჭირვებულნი.

§ 141. იმ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნუ-
ლია მე 131 მუხლში, ნათესავნი უშვალოდ განა-
გებენ და გამგებლობენ დაშთენილ ქონებას თანაბ-
რად ქონების დამტოვებელის მეუღლეთა, შვილთა
და შშობელთა.

თ ა ვ ი V.

შვილად აყვანა.

§ 142. შვილად აყვანილი, იჯახში მიღებულ-
ნი და მათი შთამომავლობა შვილად ამყვანელთა
და მიმღებთა მიმართ და აგრეთვე შვილად ამყვანი
და მიმღები შვილათ აყვანილთა და მიღებულთა
მიმართ სისხლით ნათესავთა თანასწორათ ითვლებიან.

§ 143. ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ
არ დაიშვება არც თავისი და არც სხვისი შვილე-
ბის შვილად აყვანა, ყოველი ამ გვარი შვილად აყ-
ვანა, მომხდარი ამ მუხლში ნაჩვენებ დროს შემდეგ

არ ქმნის არავითარ უფლება-მოვალეობას შვილად
ამყვანთა და აყვანილთათვის.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა
რესპუბლიკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი კვიციანი.

რეგკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

28 აპრილი, 1921 წ.
ქალ. თბილისი, სასახლე.

ფორმა № 1.

დეკრეტი № 28 მე 4 მუხლის დანართი.

დაბადებთა ჩასაწერი წიგნი _____ წელი.


მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერი
განყოფილება _____

რეგოლიუციონურ კომიტეტთან

1. ჩაწერის № _____
2. დაბადების თვე და რიცხვი _____
3. დაბადების ადგილი _____
4. ბავშვის სქესი _____
5. ბავშვის სახელი და გვარი _____
6. მშობლების სახელი, მამის სახელი, გვარი _____
ხელობა _____
7. ბავშვის ეროვნება _____
8. მშობლების მუდმივი ბინადრობა _____
9. მშობლების წლოვანობა _____
10. აღნიშნულ მშობლების მერამდენე ბავშვია _____
11. განსაკუთრებული შენიშვნები _____

ხელის მოწერა: { 1) იმ პირისა, რომელმაც აცნობა
2) მოწმეთა
3) თანამდებობის პირის, რომელ-
მაც ჩასწერა





ფორმა № 2.

ფორმა № 35 უფლი
ბიზლიროთეკა

დეკრეტი № 28 მე 4 მუხლის დანართი.

დეკრეტი № 28 მე-4 მუხლის დანართი.

სიკვდილის ჩასაწერი წიგნი _____

უკვალოდ დაკარგულ პირთა ჩასაწერი წიგნი _____

წელი _____
მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერი განყოფილება _____

წელი _____
მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩასაწერი განყოფილება _____ რეგკომთან.

რეგკომთან

1. გასაწერი № _____

1. ჩასაწერი № _____

2. სიკვდილის თვე და რიცხვი _____

2. უკვალოდ დაკარგულის სქესი _____

3. სიკვდილის ადგილი _____

3. უკვალოდ დაკარგულის სახელი, მამის სახელი, გვარი _____

4. მიცვალებულის სქესი _____

ხელობა _____

4. უკანასკნელი ცნობა დაკარგულის ბინადრობის შესახებ _____

5. მიცვალებულის სახელი, მამის სახელი, გვარი _____

5. სადაურია _____

და ხელობა _____

6. სიკვდილის მიზეზი _____

6. დაბადების წელიწადი, თვე და რიცხვი _____

7. გვარი, სახელი და ბინადრობა ექიმის, რომელმაც გასცა მოწმობა სიკვდილის შესახებ და მოწმობის № _____

7. დაკარგულის ოჯახური მდგომარეობა (უცოლო, ქვრივი, განქორწინებული) _____

8. დაკრძალვის ადგილი _____

8. სახელი სასამართლოსი, რომელმაც გამოიტანა დადგენილება და დადგენილების რიცხვი და № _____

9. მიცვალებულის დაბადების წელი, თვე და რიცხვი (ან წლოვანება) _____

9. დაკარგვის ცნობის საფუძველი (უკვალოდ დაკარგვა ომში და ან რაიმე უბედურ შემთხვევაში) _____

10. მიცვალებულის ოჯახური მდგომარეობა (ცოლიანია, ქვრივია, განქორწინებული) _____

10. განსაკუთრებული შენიშვნები _____

11. სახელი, გვარი და ბინადრობა, იმ პირის რომელმაც განაცხადა გადაცვალება _____

ხელის მოწერა: თანამდებობის პირისა, რომელმაც ჩასწერა.

12. განსაკუთრებული შენიშვნები _____

ფორმა № 4.


დეკრეტი № 28 მე-4 მუხლის დანართი.

ხელის მოწერა:

- 1) იმ პირის, რომელმაც აცნობა მომხდარი ამბავი.
- 2) თანამდებობის პირის, რომელმაც ჩასწერა.

ქორწინების ჩასაწერი წიგნი _____ წელი.

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტები ჩასაწერი





საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
საქმეთა მინისტრის

განყოფილება _____

რეგკომთან.

1. ჩასაწერი № _____ უმ. _____

2. შეუღლების თვე და რიცხვი _____

3. საქმროს და საცოლოს სახელი, მამის სახელი, გვარი _____

და ხელობა _____

4. საქმროს და საცოლოს ბინადრობა _____

5. სადაური არიან საქმრო და საცოლო _____

6. საქმროს და საცოლოს დაბადების წელიწადი თვე და რიცხვი _____

7. საქმროს და საცოლოს ოჯახური მდგომარეობა (უცოლო ანუ უქმრო, ქვრივები, განქორწილებული) _____

8. გვარი, რომელი სურთ ატარონ მექორწინეთ _____

9. განსაკუთრებული შენიშვნები _____

აცხადებს, რომ თავის სურვილით ქორწინდება

ხელის მოწერა: { 1) საქმროსი
2) საცოლოსი
3) მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერ განყოფილების თავმჯდომარის
4) თანამდებობის პირის, რომელმაც ჩასწერა.

ფორმა № 5.

დეკრეტი № 28 მე-4 მუხლის დანართი.

განქორწინების ჩასაწერი წიგნი _____

წელი.

მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩასაწერი განყოფილება _____

1. № ჩანაწერისა _____

2. თვე და რიცხვი განქორწინების დადგენილებისა _____

3. სასამართლოს სახელი, რომელმაც გამოიტანა დადგენილება _____ და № დადგენილებისა _____

4. სახელი, მამის სახელი, გვარები და ხელობა გასაქორწინებლებისა _____

5. ბინადრობა გასაქორწინებლებისა _____

6. მუდმივი მათი ბინადრობა (სადაურები არიან) _____

7. მათი წლოვანება (წელიწადი, თვე და რიცხვი დაბადებისა) _____

8. ოჯახური მდგომარეობა განქორწინებამდე _____

9. რიცხვი შეიღებისა, რომელნიც წარმოიშენნ გასაქორწინებელ ცოლქმრისაგან _____

10. რა გვარი სურთ ატარონ გასაქორწინებელმა შეუღლებმა _____

11. განსაკუთრებული შენიშვნები _____

ხელის მოწერა: { 1) გასაქორწინებლების
2) თანამდებობის პირის, რომელმაც მოახდინა განქორწინებას ჩაწერა.

ფორმა № 6.

დეკრეტი № 28 მე 4 მუხლის დანართი.

უკანონო შეიღთა ჩასახვის შესახებ განცხადების ჩასაწერი წიგნი _____

წელი

მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩასაწერი განყოფილება _____

რეგკომთან

1. № ჩაწერისა _____

2. თვე და რიცხვი განცხადებისა _____

3. სახელი, მამის სახელი, გვარი _____



ხელობა და ბინადრობა გამცხადებელისა

4. დრო ჩასახვისა

5. სახელი, მამის სახელი, გვარი

ბინადრობა მამისა

6. განსაკუთრებული შენიშვნები

ხელის მოწერა: { 1) გამცხადებელისა
2) თანამდებობის პირისა, რომელმაც მოახდინა ჩაწერა.

ფორმა № 7.

დეკრეტი № 28 მმ 4 მუხლის დანატი.

გვარის ან მეტ სახელის გამოსაცვლელად ჩასაწერი წიგნი

წელი

მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩასაწერი განყოფილება

რეკომთან

1. № ჩაწერისა

2. თვე და რიცხვი ჩაწერისა

3. სახელი, მამის სახელი, გვარი

ან ხელობა იმ პირისა, ვინც იცვლის გვარს

ან მეტს სახელს

4. ბინადრობა

5. სადაურია

6. წელიწადი, თვე და რიცხვი დაბადებისა

7. დაბადებისა ადგილი

8. ოჯახური მდგომარეობა: (ქვრივია, უცოლო ან უქმრო ქორწინებაშია, განქორწინებულია)

9. სახელები და წლოვანება ბავშვებისა 14

წლამდი

10. ახალი გვარი ან მეტი სახელი

11. ხელის მოწერა მეუღლისა იმის შესახებ, რომ სურს მას ატაროს ახალი გვარი

12. განსაკუთრებული შენიშვნები

ხელის მოწერა: { 1) იმ პირის რომელიც იცვლის გვარს ან მეტს სახელს
2) თანამდებობის პირის, რომელმაც ჩასწერა

დეკრეტი № 41

საქართველოს ს. ს. რევოლუციონური კომიტეტისა

წითელ არმიელებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

რომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის წითელ არმიელებისა და არმიაში მოსამსახურე პირთა თავგანწირული და ნაყოფიერი მუშაობისთვის შეიქნეს საუკეთესო პირობები, შემოღებულ იქნეს სახელმწიფო უზრუნველყოფა წითელ არმიელებისა და მათი ოჯახებისა, შემდეგ საფუძველზე:

1. უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარში მყოფი ყოველი პირი, სახელდობრ: წითელ არმიელები, მათი უფროსები და სამხედრო მოხელეები, როგორც მობილიზაციით გაწვეულნი, ისე მოხალისენი, აგრეთვე შრომის უნარ მოკლებული მათი ოჯახის წევრები.

შენიშვნა: ქვემო მოყვანილ განმარტებაში მთელი წითელი ჯარის შემადგენლობა, როგორც უფროსები, აგრეთვე არა უფროსები და სამხედრო მოხელენი იქნებიან წოდებულნი წითელ არმიელებათ.

2. წითელ ჯარში მობილიზაციით გაწვევის ან მოხალისეთ შესვლის დროს ყველა მოსამსახურენი და მუშები, როგორც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებისა და წარმოებისა, აგრეთვე კერძო პირებთან მომუშავენი იღებენ მაშინვე სრულ ანგარიშს და გარდა ამისა ორი კვირის ჯილდოს ვინასწარ.

3. ჯარიდან დაბრუნებისას 1-ლ მუხლში მოხსენებული პირნი იღებენ ხელ-ახლად იმ თანამდებობას, რომელიც მათ ჰქონდათ ჯარში შესვლამდე.



საქმის რეგისტრაციის ნომერი

4. წითელ ჯარში მყოფ მიწის მუშებს ენახებათ ყველა მათი უფლებები მიწაზე.

5. წითელ არმიელების ქონება თავისუფალია ყოველგვარ რეკვიზიციის და კონფისკაციისაგან.

6. როგორც წითელი არმიელები, აგრეთვე მათი ოჯახები, რომელთაც ისინი ინახავენ, თავისუფალნი არიან, მათი ჯარში ყოფნის დროს, ყოველნაირ პირდაპირი გადასახადებისაგან, ხოლო ნახევრად სასურსათო გადასახადისაგან.

7. წითელ არმიელების ჯარში ყოფნის დროს მისი ოჯახი, თავისუფალია: 1) ბინის ქირის გადახდისაგან, 2) ბინიდან გადასახადებისა და გამოსახლებისაგან და 3) შრომის ბეგარისაგან.

8. დეზერტირ წითელ არმიელებს და მოპირდაპირის მხარეზე გადასულებს და მათ ოჯახებს ესპობათ ამ დებულებით დაწესებული უფლება უზრუნველყოფაზე.

9. წითელ არმიელების ოჯახებს ეძლევათ ყოველგვარი დახმარება ფულით.

10. აღნიშნულ დახმარებაზე უფლება აქვს წითელი არმიელების შრომის უნარ მოკლებულ ოჯახის წევრებს, რომელთაც ის ინახავდა სამხედრო სამსახურში შესვლამდის.

11. შრომის უნარ მოკლებულად ითვლებიან:

ა) წითელ არმიელების ცოლი ბავშვით 12 წლამდე, ბ) ბავშვები 16 წლამდე და აგრეთვე მოსწავლე შვილები მიუხედავად მათი წლოვანებისა, გ) წითელ არმიელების დები და ძმები, თუ ისინი 16 წლისაზე მეტისა არ არიან ან და სწავლობდნენ, ვ) დედა 45 წელზე ზევით დ) მამა 50 წ. ზევით და ე) ბებია და ბაბუა.

12. ოჯახის წევრებად, რომელთაც აქვთ უფლება დახმარებაზე, ითვლებიან აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილნი და ნაშვილობნი.

13. ზემოთ აღნიშნულ პირებს აქვთ უფლება დახმარებაზე, მიუხედავად მათი წლოვანებისა, უკეთეს მათ შრომის უნარი აქვთ დაკარგული, რაც უნდა იქნეს შემოწმებული არსებული წესის თანახმად.

14. დახმარება ეძლევათ შემდეგი, რაოდენობით: ერთს შრომის უნარ მოკლებულს ოჯახის წევრს ადგილობრივ მინიმალური სატარიფო ქირის 60%, ორს 75%, სამს და უფრო მეტს მთელი ხსენებული ქირა.

15. დახმარება წითელ არმიელთა ოჯახებს ეძლევათ სამსახურში შესვლის დღიდან.

16. დახმარების მიცემა ევალება სოციალურ უზრუნველყოფის პუნქტებს და თემის რეგკომებს, რომლებსაც ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება.

17. ამისათვის მაზრის სამხედრო კომისარი უზაფნის აღნიშნულ ორგანოებს სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების საშუალებით ჯარში მარტულთა სიებს და აგრეთვე ცნობებს მათი ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

18. ამ მასალების მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის პუნქტები და თემის რეგკომები ადგილობრივ არკვევენ შრომის უნარ მოკლებულ

პირებს, რომელთაც ინახავენ წითელ ჯარში მყოფი წევრები, ადვენენ მოთხოვნის უწყებებს და გზავნიან სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებებში, რომლებიც დამტკიცების შემდეგ უკანვე აბრუნებენ საჭირო ფულის თანდართვით.

19. ექიმების მიერ შემოწმება ხდება ადგილობრივად, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია და გასასინჯს სხვა ადგილს მოუხდება წასვლა შესამოწმებლად, ამისთვის ის იღებს დღიურს მინიმალური სატარიფო ქირის 1/10, რაშიაც შედის გზის ხარჯიც.

20. წითელი არმიელების ოჯახები გარდა იმისა, რომ ფულით დახმარებას იღებენ. აწარმოებენ აგრეთვე სოფლის მეურნეობას, აქვთ უფლება მოითხოვონ, რომ მათი მიწები დამუშავებული იქნეს საზოგადო ხარჯით და რომ თითონ განსაკუთრებულის წესით კმაყოფილდებოდნენ ფაბრიკა ქარხნების წარმოების პროდუქტებით, რომელიც სოფელს გადაეცემა.

21. წითელ არმიელების ოჯახები, რომელნიც სოფლის მეურნეობას არ ეწევიან, ფულით დახმარების გარდა იღებენ სასურსათო ულუფას, ყველა მოსამსახურეების ოჯახებთან თანაბრად პირველ კატეგორიით.

22. წითელ არმიელების შრომის უნარიან წევრებს უფლება აქვთ რიგ გარეშე მიიღონ სამუშაო მუშა-ხელის აღრიცხვის განყოფილებიდან.

23. წითელ არმიელების სიკვდილის ან დასახიჩრების შემდეგ ოჯახი ან დასახიჩრებული კმაყოფილდება იმ წესით, რომელიც იქნება შემოღებული სპეციალური დეკრეტით.

24. ამ დეკრეტის შესრულება ევალება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ხოლო მისი სასურსათო და სამეურნეო დახმარების ნაწილის განხორციელება ევალება მიწათმოქმედების კომისარიატს.

25. სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წითელ არმიელების უზრუნველყოფა სწარმოებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და სათანადო სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეთანხმებით.

26. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სოციალურ უზრუნველყოფ. სახალხო
კომისარი თოდროი.

რეგკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 10.
ტფილისი. — სასახლე.



დეკრეტი № 42.

საქართველ. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტეტისა

საამომდებლო და გადაამუშავებული წარმოების ნაცონალური სახალხო კომიტეტის შესახებ.

1. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საამომდებლო და გადაამუშავებელი წარმოების ყველა დაწესებულება, უკეთუ ამ ქაზად წარმოებაში მუშაობს, ან თუ 1920 წელში, ან მისი ნორმალური მოქმედების უკანასკნელი წლის განმავლობაში, მუშაობდა არა ნაკლებ ოცი მუშა-ხელისა, ან თუ წარმოებას აქვს მამოძრავებელი მანქანა და ჰყავს არა ნაკლებ ათი მუშა-ხელისა, ან მიუხედავად მუშა-ხელის რაოდენობისა, თუ წარმოება მოქმედებს 25 ძალიანი მამოძრავებელი მანქანით, ან უკეთუ 1920 წელში მის მიერ დამუშავებული ფაბრიკატები იყო არა ნაკლებ ოცი მილიონი მანეთის ღირებულობისა, მთელი მათი ქონებით, ფაბრიკებით, ქარხნებით, საწყობებით, ნედლი მასალით, საქონლით და სხვა ცხადდება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად და გადადის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ წარმოებაზე, როკელიც ეკუთვნის კოოპერატიულ ორგანიზაციებს ან იმყოფება უცხო ქვეყნების ქვეშევრდომების საკონცესიო საზღვებლობაში.

2. აღნიშნულ წარმოებათა ახლანდელი მფლობელი ან არსებული განმკარგულებელი ორგანოები და პირნი განაგრძობენ თავიანთ ჩვეულებრივ მუშაობას, სანამ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ გამოსცემს სპეციალ დადგენილებას ცალკე საწარმოო დაწესებულებათა მის ხელში გადასვლის შესახებ და სანამ წარმოება ფაქტიურად არ გადაეცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ დანიშნულ ახალ საქარხნო გამგებლობას.

3. მეორე მუხლში დასახელებული ორგანოები და პირნი პასუხს აგებენ რევოლიუციონური დროის კანონის წინაშე, როგორც საწარმოო დაწესებულებათა, ისე მათი მოწყობილობის, ყველა მომარაგებისა და საერთოდ მთელი ქონების შენახვა-დაცვაში.

4. სხვა და სხვა პირთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ვალდებულებანი ნაციონალიზაცია ქმნილ საწარმოო დაწესებულებათა წინაშე, ძალაში რჩება და მისი განაღდების უფლება გადადის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოზე, რომელიც ამ უფლებას ანხორციელებს წარმოებათათვის ახლად დანიშნული საქარხნო გამგებლობის საშუალებით.

5. სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებულ საწარმოო დაწესებულებათა ყოველგვარ ვალდებულებათ სხვა და სხვა პირთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების წინაშე, სახალხო მეურნეობის

უმაღლესი საბჭო მიიღებს იმდენად რამდენად იქნება არ იქნება საწინაღმდეგო საბჭოთა რესპუბლიკის საერთო კანონებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს მიზნებისათვის.

6. ისეთი საწარმოო ქარხნები, რომელთაც არა აქვს ამ დეკრეტის პირველ მუხლში აღნიშნული ნიშნულებანი, განაგრძობენ თავის მოქმედებას და შეიძლება კვლავ დაარსებულ იქნენ.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამ დეკრეტის გამონაკლისის სახით, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ენიჭება უფლება, უკეთუ ეს აუცილებელ საჭიროებად იქნება მის მიერ ცნობილი საერთო სახელმწიფოებრივი მოსაზრებებით, თავისი სპეციალი დადგენილებით გაანთავისუფლოს ნაციონალიზაციისაგან ცალკე წარმოება (საწარმოო დაწესებულება) და, თუნდაც მას ამ დეკრეტის პირველ მუხლში აღნიშნული ნიშნულობის გამო ეხებოდეს ნაციონალიზაცია, დაუტოვოს, იგი ეხლანდელ მფლობელთ. მას უფლება აქვს აგრეთვე უკვე ფაქტიურად სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული საწარმოო დაწესებულების დენაციონალიზაცია მოახდინოს.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 13.
ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 43

საქართ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტისა
საფუთო გადასახადის გაუქმების შესახებ.

1. მოისპოს ქალაქების სასარგებლოდ დაწესებული ყოველგვარი საფუთო გადასახადი.

2. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკაში მოქმედი ყველა კანონი ქალაქთა სასარგებლოდ საფუთო გადასახადის შესახებ.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტ. თავმჯ. ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისი 14.
ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 44

საქართვე. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტეტისა ელექტრონის სადგურების ნაციონალიზაციის შესახებ.

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა ელექტრონის სადგური, რომლის მამოძრავებელი მანქანების ღირებულება 20 ცხენის ძალას აღემატება და რომელიც ელექტრონის ენერჯიას სხეებს აძლევს, გამოცხადდეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საკუთრებად.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება ისეთ სადგურებზე, რომელნიც 1921 წ. თებერვლის 26-დღე ეკუთვნოდნენ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთ და აგრეთვე იმ სადგურებზე, რომელნიც კოოპერატივებისა და მათი კავშირების საკუთრებას შეადგენენ.

2. ამ დეკრეტის 1-ლ მუხლის თანახმად სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული ელექტრონის სადგურები განაგრძობენ ნორმალურ მოქმედებას, ხოლო სადგურის მთელი ადმინისტრაციული, ტექნიკური და მუშების პერსონალი რჩება თავის ადგილზე და ჩაირიცხება სახელმწიფო სამსახურში.

3. წესი ამ დეკრეტის პირველ მუხლში აღნიშნული ელექტრონის სადგურების წარმოებისა, მათი მართვისა და მიღებისა სახელმწიფოს ორგანოების მიერ, ნაჩვენებია ცალკე დებულებაში, რომელიც ამასთან ერთად გამოიცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ.

4. ყველა დადგენილება და ბრძანება, რომელიც დადგენილად იყო გამოცემული ელექტრონის სადგურების და მათი მოწყობილების შესახებ სახელმწიფოს სხვა და სხვა ორგანოების მიერ და არ ეთანხმება ამ დეკრეტს და მუხ. მე-3-ში აღნიშნულ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დებულებათ, გაუქმებულია ამ დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
სახალხო მეურნეობის უმაღლეს სამქოს თავმჯდომარე მ. ტორაშელიძე.

რეკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 16. |
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 45

საქართვე. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტეტისა აბრეშუმის პარკზე, აბრეშუმის ძაფზე, ნათაურზე, ნაბოლარზე და ყაჭზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ.

1. ყიდვა-გაყიდვა აბრეშუმის პარკისა, აბრეშუმის ძაფისა, ნათაურისა, ნაბოლარისა და ყაჭისა

საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე, აბრეშუმის მათი საზღვარგარეთ გატანა და განაღდება გამოცხადებულია სახელმწიფოს მონოპოლიად.

2. პირველ მუხლში აღნიშნული მებაბრეშუმეობის ნაწარმოების მონოპოლიის ცხოვრებაში გატარება საქართველოს ს. ს. რ. საზღვრებში ევალება სახალხო სასურსათო კომისარიატს, მონოპოლიის ტექნიკური მხარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული მებაბრეშუმეობის ინსპექციის ხელმძღვანელობით.

3. მონოპოლია გატარდება სამართველოს ს. ს. რ. მთავრობის მიერ მებაბრეშუმე-მწარმოებელთა მონაწილეობით კოოპერაციის საფუძველზე, ამასთანავე მწარმოებელთათვის ანგარიშის გასწორების წესს მებაბრეშუმეობის კაპიტალის ოპერაციების გამო და აგრეთვე იმას, თუ მოგების რა ნაწილის მოზიარენი უნდა იქნეს ისინი, გამოარკვევს სახალხო სასურსათო კომისარი მიწადმოქმედების სახალხო კომისარათან ერთად.

შენიშვნა: სახალხო სასურსათო კომისარს უფლება ეძლევა, თუ საჭიროება მოითხოვს, რეკვიზიტის წესით მესაკუთრეთ ჩამოართვას შენახული მებაბრეშუმეობის ნაწარმოები, მტკიცე ფასებში.

4. სახალხო სასურსათო კომისარსა აბრეშუმის პარკი უნდა მოკრიფოს და დაამზადოს კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით, ხოლო სადაც ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების საშუალებით.

შენიშვნა: აბრეშუმის პარკის მოკრეფისა და დამზადების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელნიც სახალხო სასურსათო კომისარისაგან მიიღებენ ამის ნებართვას.

5. სახალხო სასურსათო კომისარს უფლება ეძლევა, მებაბრეშუმეობის ნაწარმოებზე შემოღებული მონოპოლიის მიზანშეწონილად და საუკეთესოდ ცხოვრებაში გატარებისათვის, გამოსცეს სათანადო დადგენილებანი და ინსტრუქციები.

6. ის ორგანიზაციები და კერძო პირნი, რომელნიც ხელს შეუშლიან მონოპოლიის ცხოვრებაში გატარებას ანუ მებაბრეშუმეობის ნაწარმოების ყიდვა-გაყიდვის საქმეს სახალხო სასურსათო კომისარის სათანადო ნებადაურთველად დაიწყებენ, მიიცემიან რევოლიუციონური ტრიბუნალის სამართალში, ამასთანავე მათ მიერ შექმნილი აბრეშუმის პარკი და მებაბრეშუმეობის სხვა ნაწარმოები ჩამოერთმევათ მათ კონფისკაციის წესით.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სახალხო სასურსათო კომისარის
მოადგილე ერქომაიშვილი.
რეკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., ივნისის 17.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 27

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

(დებულება საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს შესახებ).

1. მთავრობის საქმეთა სამმართველო არსებობს უშუალოდ საქართველოს ს. ს. რევოლიუციონური კომიტეტთან.

2. სამმართველოს სათავეში სდგას მთავრობის საქმეთა მმართველი, რომელიც შედის რევოლ. კომიტეტის შემადგენლობაში სათათბირო წმით.

3. მთავრობის საქმეთა სამმართველოს ვვალდება:

ა) სრულყოფილიანი წარმომადგენლობა რევოლიუციონური კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის სახელით რესპუბლიკის ყველა უმაღლეს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა და აგრეთვე ამ უკანასკნელების ცალკე წარმომადგენლებთან ურთიერთ დამოკიდებულების დროს, ბ) განხილვა და გადაწყვეტა ყველა მიმდინარე საკითხებისა, რომელნიც აღიძვრის, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად, — საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ დამტკიცებულ კანონების თანახმად და აგრეთვე სახალხო კომისარიატების განკარგულებათა მიხედვით, გ) სწრაფად და სისწორით შესრულება, როგორც რევოლიუციონური კომიტეტის ყველა დადგენილებებისა და რევკომის თავმჯდომარის ყოველი განკარგულებათა და დადგენილებათა, რომელნიც შეიძლება დაარსებულ იქნენ საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტთან, დ) ინფორმაციის მიწოდება რევოლიუციონური კომიტეტისათვის ადგილობრივ საქმის მდგომარეობის შესახებ, და აგრეთვე ცნობების მიცემა საბჭოთა ძალაუფლების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ცენტრში და ადგილობრივ.

4. მთავრობის საქმეთა სამმართველო შესდგება შემდეგ განყოფილებებიდან:

ა) სეკრეტარიატი, რომელიც შეიცავს მთავრობის სამმართველოს მთელს სამდივნო ნაწილს და აწარმოებს რევოლიუციონური კომიტეტის და მასთან არსებულ ორგანოების სხდომების ოქმებს; ხელს უწყობს სხვა და სხვა სახალხო კომისარიატებთან და ადგილობრივ რევკომებთან დამოკიდებულების საქმის მსვლელობას (იგი განაგებს აგრეთვე განკარგულებების მაგიდასაც);

ბ) საერთო კანცელარია ქვეგანყოფილებებით: ა) კანცელარია, ბ) საერთო რეგისტრატურა, გ) პირადი შემადგენლობის მაგიდა და მანდატების მაგიდა, დ) ექსპედიცია, ტენზიკური ნაწილი (მანქანები და სტამბა), ე) არქივი.

5. საიუროსკონსულო განყოფილება: წინასწარ იხილავს სხვა და სხვა კომისარიატების მიერ წარმოდგენილ ყველა კანონმდებლობითი პროექტებს და აგრეთვე თავის დასკვნას აძლევს რევო-

ლიუციონური კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ.

6. საინფორმაციო სტატისტიკურ განყოფილებას ევალება შეგროვება და დამუშავება ინფორმაციული ხასიათის ყველა მასალებისა ადგილობრივ რევკომების და სახალხო კომისარიატების მოღვაწეობის შესახებ და აგრეთვე ცნობის მიწოდება საბჭოთა ძალაუფლების ცენტრში და ადგილობრივ მუშაობის შესახებ ინფორმაციული და ოფიციალური ხასიათის ცნობების, შენიშვნების და სხვ. გამოქვეყნება, როგორც რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში, ისე საზღვარ-გარეთ. მასვე ევალება ბეჭვდითი სათანადო ორგანოს გამოცემა. (საქ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის ბიულეტენი).

7) სამეურნეო განყოფილება შეიცავს: ა) მატერიალურ ნაწილს, ბ) სატრანსპორტო ნაწილს, გ) საფინანსო ნაწილს და დ) საკომენდატოს.

საქ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე,

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 14. ტფილისი. — სასახლე.

დადგენილება № 28

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატთან სამხედრო სასწავლებლების საქმეთა განყოფილების დაარსების შესახებ.

სამხედრო სასწავლო საქმის გაერთიანებისა და სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის, რასაც უალრესი მნიშვნელობა აქვს სანდო და პოლიტიკურად მომზადებული წითელი ჯარის უფროსების კადრის შექმნისათვის, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან სამხედრო სასწავლებლების საქმეთა განყოფილება, რომელსაც დაევალოს რესპუბლიკის ყველა სამხედრო სასწავლებლების მოწყობა და ხელმძღვანელობა.

2. პირველ მუხლში აღნიშნული სამხედრო სასწავლებლების საქმეთა განყოფილების დებულების და შტატის შემუშავება დაევალოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს.

3. ამ დადგენილების ძალით დაარსებული სამხედრო სასწავლებლების საქმეთა განყოფილების მოსაწყობად გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებაში ორი მალიონი (2.000.000) მან.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი **შ. ელიაშვილი**.

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**.

1921 წ., ივნისის 16.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 31.

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

სამრეწველო ხასიათის შენობების ასაგები პროექტების დამტკიცების წესის შესახებ.

1. სამრეწველო ხასიათის ყველა ახალი შენობის აგებისა, აგრეთვე წარმოებებთან არსებული ყველა დამატებითი დაწესებულებების (აბანოს, სასადილოს, სკოლის, ბაგის, საცხოვრებელი ბინების) მოწყობის და მათი კაპიტალური ან ნაწილობრივი შეკეთებისა და გადაკეთების დროს, ან და სხვა და სხვა დაწესებულება-მოწყობილობის ერთი სადგომიდან მეორეში გადატანა, უნდა ხდებოდეს ჰიგიენისა და მუშაობის უშიშროების უზრუნველყოფისათვის ყველა არსებულ პირობების დაცვით, ამასთანავე ყოველგვარი მუშაობა უნდა სწარმოებდეს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ ყველა სავალდებულო, სპეციალ და ზოგად დადგენილებათა თანახმად.

2. ახალ შენობების აგებისა ან რემონტის პროექტი—ორ ცალად უნდა წარედგინოს, გარდა სახელმწიფო შენობათა აგების კომიტეტისა ან სხვა ორგანოებისა, რომელთა ნებართვითაც ხდება ახალი აღმშენებლობა-რემონტი, შრომის სახალხო კომისარიატს ან, წარმოების ადგილის მდებარეობის მიხედვით, მის ადგილობრივ განყოფილებებს, ამასთანავე ყოველ პროექტს უნდა დართულ ექნეს დასაბუთებული განმარტებითი მოხსენება და სათანადო ნახაზნი.

შენიშვნა: განსაკუთრებული დიდი და მნიშვნელოვანი ხასიათის შენობებისა და კაპიტალური რემონტის პროექტები, რომელთა პირდაპირი გამგებლობა ევალება სახელმწიფო შენობათა აგების კომიტეტს ან სხვა ცენტრალ ორგანოებს, უნდა ეცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს, მიუხედავად მათი ადგილ-მდებარეობისა.

3. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ან მისი ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან მიღებული პროექტის შესახებ მისცენ თავიანი დასკვნა შრომის ჰიგიენისა და უშიშროების უზრუნველყოფის ტექნიკური

თვალსაზრისით, ერთი თვის განმავლობაში დადგინდნ და პროექტის მიღებისა. არც ერთი შენობის ან კაპიტალური რემონტის დაწყება არ შეიძლება აღნიშნული ვადის განმავლობაში, უკეთეს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ არ იქნა მიცემული დადებითი დასკვნა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სახელმწიფოებრივი განსაკუთრებული დიდი შენობების პროექტებისათვის დასკვნის მიცემა, შრომის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გააგზავნოს სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტში თავისი წარმომადგენელი პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

4. პირველ მუხლში აღნიშნული მუშაობის დასრულების შემდეგ, არც დამატებითი დაწესებულების, არც წარმოების ამოქმედება არ შეიძლება იქნეს დაწყებული შრომის ტექნიკური და სანიტარული ინსპექტორებისა და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისიის დაუდასტურებლად,

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.
შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე**.
რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**.

1921 წ. ივნისის 22.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 32

საქ. ს. ს. რევ. კომიტეტისა,
ყოველნაირი ხარისხის ქალაქის აღრიცხვის შესახებ.

1921 წ. ივნისის 4-ს № 24-ს დადგენილების დამატებად, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1921 წ. ივნისის 4-ს № 24-ს დადგენილების თანახმად, დაარსებულ ქალაქის სააღრიცხვო და განმანაწილებელ მთავარ სამმართველოს უფლება მიეცეს გარდა გაზეთისა და წიგნის ქალაქის აღრიცხვა-განაწილებისა აღრიცხოს და თავის გამგებლობაში მიიღოს აგრეთვე ყოველნაირი სხვა ხარისხის ქალაქიც.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.
რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**.

1921 წ., ივნისის 24.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 33

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

**ქ. ტფილისისა და მისი გუბერნიის ხოლერისა-
გან საშიშ მდგომარეობაში მყოფ ადგილებად
გამოცხადების შესახებ.**

რადგან ქალაქ ტფილისისა და ტფილისის გუ-
ბერნიაში აღმოჩენილია შემთხვევები ხოლერით
ავად გახდომისა, საქართველოს ს. ს. რ. რევო-
ლიუც. კომიტეტი ადგენს:

ქ. ტფილისი და ტფილისის გუბერნია გამო-
ცხადებულ იქნეს ხოლერისაგან საშიშ მდგომარე-
ობაში მყოფ ადგილებად.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუც.

კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., ივნისის 24.

ქ. ტფილისი. —სასახლე.

დადგენილება № 34

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

**ხოლერისა და სხვა ეპიდემიურ სენის წინააღ-
მდეგ ბრძოლის შესახებ.**

ვინაიდან ქ. ტფილისში შემთხვევები იყოაზი-
ური ხოლერისაგან ავად გახდომისა და ეპიდემია
შესაძლებელია, მომავალი დიდი სიცხეების გამო,
სწრაფად გავრცელდეს ქალაქისა და სოფლის მშრო-
მელ და ღარიბ მცხოვრებთა შორის, რომელნიც
მეტად ცუდ ჰიგიენურ და სანიტარული პირობებ-
ში იმყოფებიან, საქართველოს რევოლიუციონურ
კომიტეტს საჭიროდ მიიჩნია მიღებულ იქნეს სას-
ტიკო ზომები ყოველგვარი გადამდებ სენისა და,
კერძოდ კი, ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ
და ამიტომ ადგენს:

1. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომი-
სარს შეეთანხმოს რკინის გზის სამმართველოსა და
ს მხედრო უწყებას შემდეგ ღონისძიებათა განსახორ-
ციელებლად:

ა) განთავისუფლებულ იქნეს ყველა ვაგონები,
რომლებიც კი საცხოვრებელ ბინებს წარმოადგენს;

ბ) აუცილებლად აკრძალულ იქნეს სადგურების
ტერიტორიაზე მგზავრების და წითელ არმიელთა
თავმოყრა.

გ) რკინის გზის საბილეთო კასები გამოტანილ
იქნეს სადგურის შენობიდან ქალაქად.

დ) იმ სადგურებზე, სადაც რკინის გზის სხვა
და სხვა ხაზებია გადაკვეთილი, ვოკალები გაიღოს
ერთი საათის წინ მატარებლის წასვლამდე;

ე) პრინციპიალურად სასურველად იქნეს ცნო-
ბილი ღამის მატარებლების გაუქმება, რათა თავი-
დან აცილებულ იქნეს ვოკალებზე მგზავრების
თავმოყრა და ღამის გატარება, ამ საკითხს გადა-

წვევტა მიენდოს ჯანმრთელობის სახალხო კომი-
სარს რკინის გზის სამმართველოსთან ერთად.

2. მიენდოს ჯანმრთელობის სახალხო კომი-
სარს შეეთანხმოს არმიების პოლიტიკურ განყოფი-
ლებათ საავიტაციო პუნქტების მოქმედების შეჩე-
რების შესახებ, რადგანაც ამისთანა ადგილებში
ხალხი ბლომად იკრიბება, რაც ხელს შეუწყობს
ანტისანიტარულ პირობების შექმნას.

3. გაეხსნას ჯანმრთელობის სახალხო კომი-
სარს ეპიდემიასთან საბრძოლველად ერთი მილიარ-
დი მან. კრედიტი.

4. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომი-
სარს შეიმუშაოს ინსტრუქცია ეპიდემიასთან საბრ-
ძოლველად სამედიცინო პერსონალის მიწვევის შე-
სახებ. ეპიდემიასთან საბრძოლველად საჭირო პერ-
სონალის რიცხვის და მათთვის სურსათ-სანოვავის
მიწოდების საშუალებათა განსაზღვრა დაევალოს
ჯანმრთელობის კომისარს მომარაგების სახ. კო-
მისართან ერთად.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის

თავმჯდომარე შ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 24.

ქ. ტფილისი, —სასახლე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ინსტრუქცია


**სამაზრო და საქალაქო რევკომებთან არსებული
საინსტრუქტორო - საინფორმაციო ქვეგანყოფი-
ლებისათვის.**

1. საინსტრუქტორო - საინფორმაციო ქვეგან-
ყოფილება არსებობს ბათუმის მხარის, მაზრისა და
ქალაქების (თბილისის, ფოთის) რევკომების შინა-
გან მართველობის განყოფილებასთან.

2. საინსტრუქტორო - საინფორმაციო განყო-
ფილება, ბათუმის მხარეში, მაზრისა და ქალაქის
რევკომებთან არის ადგილობრივი წარმომადგენელი
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინს-
ტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების.

3. საინსტრუქტორო - საინფორმაციო ქვეგან-
ყოფილებას ადგილობრივ აქვს ისეთივე ფუნქციები,
როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის
საინსტრუქტორო და საინფორმაციო განყოფილე-
ბის, მხოლოდ მცირე მაშტაბით.

შენიშვნა: ქვეგანყოფილების სამოქმედო
რეიონი, განისაზღვრება მხარის, მაზრის და
ქალაქის ფარგლებით.



4. ქვეგანყოფილების სათავეში სდგას გამგე და მისი მოადგილე; დანარჩენი მოხელეთა შტატის შედგენა ევალება რევიკომს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, თავისი მოსაზრება ამის შესახებ.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილების მოვალეობას შეადგენს:

5. მუდმივი ზედამხედველობა, რომ მაზრაში და ქალაქში, რევიკომების ხელქვეით დაწესებულებებში, დაუყარებლივ თავის დროზე და კანონიერად აასრულონ აღმინისტრაციული ხასიათის ბრძანება, დადგენილება და სხ. ამისათვის მან ფაქტიური კონტროლი უნდა გასწიოს ადგილობრივ და ყოველი შემთხვევა კანონის დარღვევის აცნობის რევიკომს გამოსაძიებლად.

შენიშვნა: ყოველგვარი შემთხვევა კანონის და სხ. განკარგულების დარღვევის შესახებ ადგილობრივი ხელისუფალთა ორგანოების მიერ უნდა ეცნობოს აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

6. მეთვალყურეობა, რომ მაზრის და ქალაქის რევიკომის განყოფილებებში ხანგამოშვებით, მაგრამ განსაზღვრულ ვადაში, წარმოადგინონ მოხსენება თავისი მოქმედების და მაზრის და ქალაქის მდგომარეობის შესახებ. ქვეგანყოფილება ვალდებულია აცნობოს განყოფილებებს მოხსენების წარმოდგენის საჭიროების შესახებ.

7. ამ მოხსენებიდან საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებამ უნდა შეადგინოს მოკლე ამოწურული მოხსენება და წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებაში.

8. ადგილობრივი სამუშაოს მსვლელობის და მდგომარეობის შესახებ ცნობების მოგროვება დალაგება და შემდეგ ცენტრალური ორგანოების და ადგილობრივი მაზრის და ქალაქის რევიკომების ინფორმაცია.

9. დაგზავნა ადგილობრივ საინსტრუქტორო და საინფორმაციო მუშაობისათვის გამოსადეგ და სავსებით მომზადებული პირების.

10. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებამ უნდა შეიმუშაოს ინსტრუქციები და ცირკულიარები ადგილობრივი რევიკომის შინაგან მართველობის განყოფილების ქვემდებარე ყველა განყოფილებასა და დაწესებულებაში საქმის წარმოების და დაყენების შესახებ.

შენიშვნა: ყოველი ინსტრუქცია და ცირკულიარი, ქვეგანყოფილების მიერ შედგენილი უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას, რომელიც თუ შეუსაბამოთ დაინახავს, ინსტრუქციას, ცირკულიარს და სხვა რომელიმე ნაბიჯს ქვეგანყოფილებისას, შეაჩერებს ან გააუქმებს მას.

11. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილება მოვალეა თვითურათ, ან თვეში ან ბოლოში, წარუდგინოს მაზრისა და ქალაქის რევიკომს

მებს ინსტრუქტორების მოხსენებანი, რომლებიც შეეხებიან შინაგან მმართველობის განყოფილების ქვემდებარე ორგანოების ადგილობრივ მუშაობას.

12. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებამ რევიკომის დავალებით, უნდა მოახდინოს აღმინისტრაციული ხასიათის გამოძიება და გამოკითხვა.

შენიშვნა: ამ მუხლში მოხსენებული გამოძიების მიზეზი, მსვლელობა და შედეგი, რევიკომთან ერთად უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

13. უნდა აწარმოოს სრული აღრიცხვა რევიკომის და მისი განყოფილებათა. პასუხის მგებელია მუშათა პირადი შემადგენლობის და ამ მხრივ უნდა ეცნობაში იქნეს მოყვანილი ყოველი ცვლილება მომავალშიც.

14. როგორც ცენტრიდან მიღებული დეკრეტების და სხვ. აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფალთა ორგანოების მიერ გამოცემული დადგენილების, ბრძანების კანონის ფარგლებში და სხ., და სასამსახურო საინსტრუქციო ლიტერატურის გამოკვეყნება და ფართოდ გავრცელება.

შენიშვნა: უნდა დროზე იქნეს მიღებული ადგილობრივ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“, რომელშიც თავმოყრილია ყველა დეკრეტი, ბრძანება და სხ. და თუ რაიმე მიზეზით დროზე არ იქნება მიღებული, ან სულ არ მიუვა ცენტრალური ორგანოების მიერ გამოცემული სხვა და სხვა ხასიათის დეკრეტი, ბრძანება და სხვა, უნდა ეცნობოს ქვეგანყოფილების საშუალებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

15. უნდა ადევნოს თვალყური ადგილობრივ და სხვა ქალაქის პრესას ყოველდღიურსა, ხანგამოშვებითსა, ფურცლებსა და სხვაში მოთავსებულ შენიშვნებს, ქრონიკას, წერილებს, პროვინციიდან და სხვა მასალას, რომელიც შეიცავს რევიკომის ქვემდებარე დაწესებულების რომელიმე მოქმედების დამახასიათებელ ცნობას და შემდეგ იმის და მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ეს ცნობა ქვეგანყოფილებამ უნდა წარადგინოს ახსნა, განმარტება, უარყოფა, ან თავისი დასტური და სხვ. კუთვნილებსამებრ.

16. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებას ევალება კონტროლი, რომ თავის დროზე იქნეს მიღებული ადგილობრივ მთელი საინფორმაციო მასალა, აგრეთვე ცენტრალური მთავრობის ყველა დეკრეტი, დადგენილება, ბრძანება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“ და სხ.

17. მომავალი ადგილობრივი საბჭოთა ყრილობისთვის, საინფორმაციო მასალის მომზადება და აგრეთვე მათ მოსაწვევად საორგანიზაციო სამუშაოს ასრულება.

18. უნდა შეადგინოს კარტოგრაფია იმის შესახებ, თუ რევიკომის დაწესებულება მაზრაში რა და რა ადგილს იკავებს; უნდა შეადგინოს აგრეთვე



ქვეყნული
საბჭოთა

ბ რ ქ ა ნ ე ბ ა

ვე ნუსხა (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გვერდის თანახმად) ყრილობათა მუშაობის, რევიკომების სხდომის, რევიკომების წევრთა პროფესიის, პარტიის, ქონებრივი მდგომარეობის, განათლების და სხ. მიხედვით დანაწილების შესახებ, რაც უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას დაუყოვნებლივ.

19 ქვეგანყოფილება ვალდებულია, სისტემატურათ წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას ყველა ოქმი რევიკომის პრეზიდიუმის და ყოველგვარი საერთო სხდომის; აგრეთვე საბჭოსი, ყრილობის და თათბირის.

20. საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებაში წარდგენილ ოქმებს, უნდა დაერთოს № № რიგზე და თარიღი—ამასთან სხდომაზე მიღებული დადგენილება, ცირკულიარული და სხ. და თუ იგი ოქმში არ იქნება აღნიშნული, აუცილებლათ უნდა დაერთოს, როგორც დამატება.

21 ქვეგანყოფილება ვალდებულია გაუწიოს საჭირო დახმარება ცნობებით ინფორმაციით და სხ. იმ აგენტებს, რევიზორებს და ინსტრუქტორებს, რომლებსაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილება აგზავნის ადგილობრივ საგანგებო დავალებით.

22. ქვეგანყოფილებამ უნდა ადევნოს თვალყური იმასაც, რომ ადგილობრივ რევიკომების განყოფილებების ინიციატივით გამოცემული ბრძანებები, ცირკულიარები, დადგენილებები და სხ. გარდა იმისა რომ არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ცენტრალურ მთავრობის დეკრეტს და სხ. არ ეწინააღმდეგებოდნენ აგრეთვე ერთმანეთისას ან წინადა მათ მიერ გამოცემულისას კანონების მხრივ, სხვა და სხვა შემთხვევების გამო გამოქვეყნებულ დადგენილებებს.

შენიშვნა: ამისათვის საჭიროა ქვეგანყოფილებამ აწარმოოს ერთგვარი სისტემატიზაცია ადგილობრივი რევიკომის და რაიონების ბრძანებების, დადგენილებების და სხ.

23. ქვეგანყოფილება ვალდებულია სასტიკი სისწორით დაალაგოს ყოველგვარი ბრძანება მუშათა და გლეხთა მილიციის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული. აგრეთვე უნდა გამოთხოვილი იქნას სამაზრო და საქალაქო შტაბებიდან ყოველგვარი დანაშაულის შემთხვევის შესახებ ცნობები. ეს ცნობა უნდა დალაგდეს ხასიათის თვისებების, დროის და სხ. მიხედვით და ყოველთვის თავში, ან ბოლოში, საერთო მოხსენებებთან ერთად ეცნობოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვიციანი** საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე **დ. დამბაშიძე**

9 ივნისი, 1921 წ.
ქ. თფილისი.

ყველა მაზრის და ქალაქის რევიკომს წისქვილების შესახებ.

ა. წ. 13 ივნისის ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილების თანახმად წისქვილების შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს საყოველთაოდ შესასრულებლად და სახელმძღვანელოდ შემდეგს:-

1. წისქვილების ნაციონალიზაციის, კონფისკაციის, რეკვიზიციის და სხ. შესახებ დეკრეტი არ გამოიციტა.

2. დაევალია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში და საქიროების დროს წისქვილების ნაციონალიზაციას მიმართოს ამა თუ იმ პირობათა მიხედვით.

3. თანახმად 13 ივნისის დადგენილებისა ადგილობრივ რევიკომებს და საერთოდ ქვემდებარე ხელისუფალთა ორგანოებს ეკრძალებათ წისქვილების ნაციონალიზაციის, რეკვიზიციის და კონფისკაციის მოხდენა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ნებადაურთველად.

4. სამაზრო და ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტებს ევალება დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ყველას თავთავისი წისქვილი, რომლის ნაციონალიზაცია, რეკვიზიცია ან კონფისკაცია მოახდინეს მათ, ან მათ მიერ მოწვეულმა ყრილობებმა.

5. ის წისქვილები, რომლებიც სოფლის საზოგადოების განაჩენის თანახმად იყო ჩამორთმეული ა. წ. 14 ივნისამდე და დღესაც იგი (სოფლის საზოგადოება) მფლობელობს, განაგებს და სარგებლობს, რჩება სოფლის საზოგადოების განკარგულებაში.

6. უნდა დაუბრუნდეს მებატრონეთ აგრეთვე ის წისქვილები, რომლებიც ჩამორთმეულია ადგილობრივი რევიკომების (თემის, რაიონის, მაზრის და ქალაქის) მიერ 13 ივნისამდე და გადაეცა მათგან სოფლის ან სხვა საზოგადოებას, თუ ამის შესახებ (გადაცემის) სოფლის ყრილობის დადგენილება არ შემდგარა ამა წლის 13 ივნისამდე.

7. მომავალში ე. ი. 13 ივნისიდან წისქვილების ჩამორთმევის საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ §§ 2 და 3 მოხსენებული წესისა და ორგანოს მიერ.

8. სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი რევიკომების საჭიროებისათვის წისქვილების შემოსავალი (მინდი) იქნება დაბეგრული იმ ნორმის და პროპორციის მიხედვით, რომელსაც გამოიმუშავებს სასურსათო სახალხო კომისარიატი და რომელიც ამ დღეებში ეცნობება ყველა რევიკომს და ხელისუფალთა ორგანოს დამატებით.

9. ამ ბრძანების აუსრულებლობა და დარ-

ღვევა გამოიწვევს დამნაშავე პირების სასტიკ პასუხისმგებლობას.

შინ. საქ. სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი ვ. ხახანაშვილი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე დ. ლამბაშიძე.

25 ივნისი, 1921 წ.

ქ. ტფილისი.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

დეკლარაცია

სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული ელექტრონის სადგურების მიღების წესის შესახებ

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტის ძალით სახელმწიფოს საკუთრებად აღიარებული ელექტრონის სადგურების მიღება მათ ყოფილ მესაკუთრეთაგან სწარმოებს შერეული კომისიების საშუალებით, რომელთაც დაარსებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ან მისი ადგილობრივი ორგანოები, კომუნალური მეურნეობისა და პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით. შერეული კომისიის შემადგენლობაში შედიან: ერთი წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ან მისი ადგილობრივი ორგანოსი, რომელიც კომისიაში თავმჯდომარეობს, ერთი წარმომადგენელი კომუნალური მეურნეობისა, ხოლო სადაც იგი არ არსებობს—ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტისა, და ორი წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირებისა.

2. ელექტრონის სადგურების ყოფილი მესაკუთრენი ან მათი რწმუნებულნი და აგრეთვე ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთა გამგებლობაში არის ელექტრონის სადგურები, ვალდებული არიან, ამ დებულების გამოქვეყნების შემდეგ, სამი დღის განმავლობაში, წარუდგინონ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის დამამუშავებელ ქვეგანყოფილებას (ტფილისი, პუშკინის ქუჩა, № 3) ან მის ადგილობრივ განყოფილებათ, ხოლო სადაც იგინი არ არსებობენ,—რევკომებს, თავთავიანთი სადგურების შესახებ მუშათა კომიტეტების მიერ შემოწმებული ცნობები.

3. სადგურის შესახებ წარსადგენ ცნობებში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ა) გვარი, სახელი და მამის სახელი სადგურის პატრონისა, აგრეთვე სადგურის სახელწოდება;
- ბ) სადგურის ნამდვილი მისამართი;

გ) სადგურის მამოძრავებელი მანქანების ძალა, მათის რაოდენობის ჩვენებით, ყოველი მამოძრავებელი მანქანის ძალა და ვითარება, ფირმა, ტიპი (ყირაა თუ დაწვენილი) და ბრუნვის რაოდენობა;

დ) ძალის ელვარების ვითარება (მულმივი, შეცვლითი, სამთავიანი);

ე) ძალა დინამო-მაშინისა და ელექტრო-მამოძრავებელისა, ვოლტაჟი, ბრუნვის რაოდენობა, ფირმა, ვითარება (ტიპი), ნომერი, მამოძრავებელთან შეერთების საშუალება;

ვ) ფირმა და სია ყველა გამწვანებელი და გამზომავი მასალებისა ვოლტაჟის და ამპერაჟის ჩვენებით;

ზ) სადგურებზედ არსებულ დაზგებისა, მანქანებისა, მანქანების კუთვნილ ნაწილებისა, იარაღებისა, მასალებისა, ასანთი მასალისა და ტყავეულობის სია, ზომისა და ღირსების ჩვენებით;

თ) ყველა მანქანა, როგორც მუშაობაში მყოფი, აგრეთვე გაჩერებულის მდგომარეობა, იმის ჩვენებით თუ რა აქვს გატეხილი;

ი) ქსელის ჩვენება (ჰაერში თუ მიწაში), მაგისტრალების რიცხვი, განაწილების ვითარება (ორ მავთულიანი, სამ მავთულიანი). დიდ-ძალოვანი ქსელებისათვის უნდა იქნეს წარმოდგენილი რიცხვი და ძალა სადგურ-ნაწილების და ტრანსფორმატორებისა და სწორი გეგმა ქსელისა: მცირე-ძალოვანი ქსელისთვის—სიგრძე და დაყოფილება ცალკ-ცალკე მაგისტრალებისა და, შეძლებისდაგვარად, ქსელის გეგმა.

4. სადგურთა კანტორები მოვალენი არიან, საგანგებო განკარგულებამდე, აწარმოონ მიმდინარე მოქმედება—მუშაობა, უნდა შეადგინონ ნამდვილი ბალანსი ელექტრონის სადგურებისა მათი სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადების დეკრეტის გამოქვეყნების დღემდე და ნამდვილი სია აბონენტებისა, მათის მისამართის ჩვენებით და საშუალო თვიური რაოდენობა თვითეულ აბონენტის დახარჯული ენერჯისა (უკანასკნელ წელში).

5. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოთ და მის დაწესებულებებს, რომელნიც ნაჩვენებია ამ დებულების მეორე მუხლში, უნდა გადაეცეს სიები სადგურების პირადი შემადგენლობისა, იმის ჩვენებით თუ ვის რა ადგილი უჭირავს სადგურში და მის კანტორებში.

6. ყველა ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოები, ეკონომ. განყოფილებები და რევკომები იმ ადგილების, სადაც სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატები ჯერ არ არსებობს, მოვალენი არიან, აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ წარუდგინონ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის დამამუშავებელ წარმოების ქვეგანყოფილებას (ტფილისი, პუშკინის ქ. № 3) ამ დებულების მუხ. 2, 3, 4, ნაჩვენები ყველა მასალები.

ყველა, ვინც ამ დებულებაში აღნიშნულ ცნობებს არ წარადგენს, ან განგებ დაჰფარავს ან გააფუქტებს სადგურის მოწყობილებას, აფეხს და ქსე-

ლის მომართულ ქონებას, ყოფილი მესაკუთრენი და მათი რწმუნებულნი, აგრეთვე გამგენი და ქარხნის კომიტეტის წარმომადგენელი პასუხს აგებენ რევოლუციონური დროის კანონების წესების თანახმად.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ტორაშელიძე.

საქმეთა მმართველი ე. მადლისონი.

1921 წ. ივნისის 16.
ტფილისი.

დანართი დეკრეტი № 44-სა

დებულება

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის 1921 წ. ივნისის 16-ს № 44 დეკრეტით სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული ელექტრონის სადგურების მართვა-გამგეობის წესების შესახებ.

1. სადგურების ძალის (ენერჯის) ექსპლოატაცია, რაიცა გულისხმობს კომერციულ მხარეს და ძალის (ენერჯის) განაწილებას ყველა მომხმარებელთ შორის, აწარმოებენ კომუნალური მეურნეობანი, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობენ — ადგილობრივი რეკომები. აღნიშნულ საქმის საწარმოებლად კომუნალურ მეურნეობასთან ან რეკომებთან არსდება ორგანო, სამი პირისაგან შემდგარი, რომელიც უნდა არჩეულ იქნეს შემდეგის პრინციპით: თავმჯდომარეს ნიშნავს კომუნალური მეურნეობა ანუ რეკომი, ხოლო დანარჩენ ორ წევრს — პროფესიონალური კავშირი.

2. ამ დებულების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ საექსპლოატაციო კოლეგიას ევალება სატენიკო ზედამხედველობის ორგანოებს ცნობები მიაწოდოს შესახებ იმისა, ოუ როგორ არის ნავარაუდები ვასაკეში ენერჯის რაოდენობა და რანაირად არის იგი განაწილებული.

3. სატენიკო ზედამხედველობა, რემონტი, ახალი სადგურების აგება ანუ არსებულ სადგურების გაფართოება, აგრეთვე ყოველი ტენიკური სამუშაო ქსელისა, შინა მავთულ საბამისა, ელექტრონის ენერჯის აღმრიცხველი მანქნებისა და მომართულობის შეკეთება ევალება საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ლითონის დამმუშავებელ დაწესებულებათა განყოფილებას და მის ადგილობრივ ორგანოებს. ტენიკური ზედამხედველობის მოვალეობას შეადგენს: ცნობები მიაწოდოს საექსპლოატაციო კოლეგიას ელექტრონის ძალის მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რომელიც შესაძლებელია გაიცეს ცალ-ცალკე ყოველ სადგურადან, ამა თუ იმ ვადით, სადგურის მდგომარეობის მიხედვით.

4. სადგურები, რომელიც არის კომისარიატისა და საბჭოთა სხვა დაწესებულებათა გამგებლობაში, ამ დებულების გამოკვეყნების დღიდან

იმ ტუნქციების მხრივ, რომელიც აღნიშნულია დებულების 1-ლ მუხლში, რჩებიან მათ გამგებლობაშივე, ხოლო სატენიკო ზედამხედველობისა და შეკეთების მხრივ გადადიან საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი ან მის ადგილობრივ ორგანოების გამგებლობაში.

შენიშვნა: სადგურები, რომელიც იმყოფებიან სამხედრო-საზღვაო კომისარიატისა და სახელმწიფო რკინის გზების სამმართველოს გამგებლობაში, როგორც ექსპლოატაციის და კომერციული, აგრეთვე სატენიკო ზედამხედველობისა და შეკეთების მხრივ რჩებიან იმავე ორგანოების გამგებლობაში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ტორაშელიძე.

საქმეთა მმართველი ე. მადლისონი.

1921 წ., ივნისის 16.
ტფილისი.

იუსტიციის კომისარიატი.

დამტკიცებულია საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტ. პრეზიდიუმის 1921 წ. ივნისის 20-ს დადგენილებით

ინსტრუქცია

1921 წ. მაისის 26-ს გამოცხადებული ამნისტიის გატარების წესის შესახებ.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის 1921 წ. მაისის 26-ს გამოკვეყნებულ ამნისტიის სისრულეში მოსაყვანად, იუსტიციის სახალხო კომისარი წინადადებას აძლევს ქვემდებარე დაწესებულებათ მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად შემდეგი:

1. ამნისტია ვრცელდება, როგორც იმ პირებზე, რომელთაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ სასჯელი, აგრეთვე იმათზედაც, რომელიც გამოძიების ქვეშ არიან.

2. ამნისტია არ ვრცელდება ისეთ დასჯილ ან პასუხისგებაში მიცემულ პირებზე, რომელთაც ბრალი ედებათ: ა) ყოველგვარ ბანდიტიზმში, ბ) ბოროტ განზრახულ სპეკულიაციაში, გ) ყოველგვარ მექრთამეობაში, დ) სახელმწიფო ქონების, როგორც ხალხის კუთვნილების, მითვისებაში და გაფლანგვაში, ე) კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებაში.

3. უღადესი სასჯილთა განაჩენები უნდა განხილულ იქნეს ერთი კვირის ვადაში, შემსუბუქების მიზნით.

4. განაჩენები იმ პირთა შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სამუდამო დაპატიმრება, უნდა გადასინჯულ იქნეს ერთი კვირის ვადაში იმ დაწესებულებათა მიერ, რომელთაც ეს განაჩენები აქვთ გამოტანილი, რათა უვადო დაპატიმრების განაჩენი შეცვლილ იქნეს ვადიანი დაპატიმრებით.



5. ყველა იმათ, ვისაც მისჯილი აქვს დაპატიმრება ხუთ წელზე მეტის ვადით, ეს უკანასკნელი უნდა შეეცვალოს ნახევრად და აგრეთვე ჩაეთვალოთ ის დრო, რომელიც მათ საპატიმროში გაატარეს.

6. ყველა იმ დასჯილებზე, რომელთაც დაპატიმრება აქვთ გადაწყვეტილი, მე-2 და მე-5 მუხ-აღნიშნულ კატეგორიების გარდა, ამნისტია უნდა გავრცელებულ იქნეს შემდეგი წესით:

ა) იმ პირებს, რომელნიც დასჯილი არიან უბრალო სპეკულიაციის გამო, სასჯელი უნდა შემოკლდეს $\frac{1}{3}$ -ით, ბ) იმ პირებს, რომელნიც დასჯილნი არიან წინასწარ განზრახული მიზნით დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო არ არიან პროფესიონალური ავაზაკები და რეციდივისტები, სასჯელის ვადა უნდა შეუმცირდეთ $\frac{2}{3}$ -ით, გ) სამსახურის დროს ბოროტ-განზრახვით დანაშაულის ჩადენისათვის დასჯილთ სასჯელი უნდა შეუმცირდეს $\frac{1}{3}$ -ით, დ) სამსახურის დროს უანგარო დანაშაულის ჩადენისათვის დასჯილთ სასჯელი უნდა შეუმცირდეს $\frac{2}{3}$ -ით, ე) ლოთობის გამო ხუთი წლის ვადამდე დასჯილნი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი დაწესებულების მიერ არის განაჩენი გამოტანილი, განთავისუფლებულ უნდა იქნენ საპატიმროდან პირობით, ხოლო რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ლოთობისათვის დაპატიმრება ხუთ წელზე მეტი — დაპატიმრების ვადა უნდა შეუმცირდეს $\frac{2}{3}$ -ით იმ დროის ჩათვლით, რომელიც მათ საპატიმროში გაატარეს.

7. ყველა დასჯილნი 1921 წ. თებერვლის 25-დღე ჩადენილ დანაშაულის გამო, თუ მათ მისჯილი აქვთ დაპატიმრება 3 წლამდე, უნდა სრულიად განთავისუფლებულ იქნენ; დასჯილნი 3-5 წლამდე უნდა განთავისუფლებულ იქნენ პირობით წინასწარ განთავისუფლების წესით, ხოლო დასჯილთ ხუთ წელზე უფრო მეტის ვადით სასჯელი უნდა შეუმცირდეთ $\frac{2}{3}$ -ით და განთავისუფლებულ იქნენ პირობით, წინასწარ განთავისუფლების წესის მიხედვით.

8. დეზერტირებისა და მათი დამფარავების მიმართ ამნისტია ვრცელდება შემდეგნაირად:

ა) ვისაც დეზერტირობისათვის დახვრეტა აქვს გადაწყვეტილი, დახვრეტა 5 წლის დაპატიმრებით უნდა შეეცვალოს;

ბ) ვისაც დეზერტირობისათვის უვადო ან ხუთ წელზე მეტი ვადით დაპატიმრება აქვს გადაწყვეტილი დაპატიმრების ვადა უნდა შეუმცირდეს 5 წლამდე, საპატიმროში გატარებული დროის ჩათვლით;

გ) ვისაც დეზერტირობისათვის მისჯილი აქვს დაპატიმრება 5 წელზე ნაკლები ვადით და აგრეთვე ვინც დასჯილია შედარებით ნაკლები სასჯელით განთავისუფლებულ უნდა იქნენ სასჯელისაგან და გაიგზავნონ იძულებითი სამუშაოზე პატიმრობისაგან განთავისუფლებით;

დ) დეზერტირობის გამო მისჯილი ქონებრივი გადასახადი, უკეთეს განაჩენი სისრულეში არ იყო მოყვანილი ამა წლის მაისის 26-დღე, არ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი იმ პირთა მიმართ, რომელნიც ამ ქაზად უკვე წითელ ლაშქარში იმყოფებოდნენ;

მელნიც ამ ქაზად უკვე წითელ ლაშქარში იმყოფებოდნენ;

ე) ყველა ის დეზერტირები, რომელნიც ადგილობრივად, ამნისტიის შესახებ დადგენილების გამოცხადების შემდეგ, 10 დღის განმავლობაში თავისი ნებით გამოცხადდებიან ადგილობრივი ხელისუფლების (სამხედრო ან სამოქალაქო) განკარგულებაში სამხედრო სამსახურში ჩასარიცხად, განთავისუფლებულ უნდა იქნენ პირადი და ქონებრივი სასჯელისაგან;

ვ) ამ ამნისტიით მინიჭებული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე დეზერტირების მფარველებზედაც.

9) ამ ამნისტიის გატარების დროს იმ პირთა შესახებ, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წინა მუხლებში აღნიშნული წესი; იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ იქნება მოსპობილი, საკითხი ამნისტიის გავრცელების შესახებ უნდა გამოორკვეულ იქნეს საქმის არსებითად განხილვის დროს.

10) ამნისტია იმ პირთა შესახებ, რომელნიც სასჯელს იხდიან სასამართლოს განაჩენების თანახმად, სისრულეში მოჰყავთ რევოლიუციონური კომიტეტის იურიდიულ განყოფილებათ, ან ადგილობრივ რევკომებს, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს.

11) ამნისტია იმ პირთა შესახებ, რომელნიც სასჯელს იხდიან ადმინისტრაციული ორგანოების და სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის დადგენილებათა თანახმად, სისრულეში მოჰყავთ იმავე ორგანოებს, რომელთაც სასჯელის განაჩენი აქვთ გამოტანილი.

12) საგამომძიებლო ორგანოები ვალდებული არიან ყოველ ცალკე საქმის შესახებ, რომელიც კი მათ აქვთ გადაცემული, გამოარკვიონ საკითხი საქმის მოსპობის შესაძლებლობის ანუ მისი სხვანაირი ზომით შესცვლის შესახებ და წარუდგინონ თავიანთი დასკვნა სათანადო დაწესებულებებს ორის ვადაში, მუხ. 10 და 11 თანახმად.

13) ყველა საპატიმროებში სამი დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნონ პატიმართა სიები სათანადო დაწესებულებათ, მუხ. 9 და 10 თანახმად, რომელთა განაჩენით ან დადგენილებით არიან საპრობილევებში დაპატიმრებულნი.

14) ამნისტია არ ვრცელდება ისეთ დასჯილ ან პასუხისგებაში მიცემულ პირებზე, რომელთა საქმე აღძრულია კერძო საჩივარის ნიადაგზე და რომელიც შესაძლებელია მორავებით გათავდეს.

15) ყველა დამატებითი ახსნა-განმარტებისათვის ამ ამნისტიის გატარების დროს სათანადო ორგანოებში უნდა ტელეგრაფით მიმართონ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

1921 წ., ივნისის 20.
ტფილისი.

შინაარსი

გე-IX-ე №-ში მოთავსებულ მასალებისა:

- 1) დეკრეტი № 39 ყვავილის ასაწრელი დეტრიტის დამზადებელი ინსტიტუტის ნაციონალიზაციის შესახებ.
- 2) „ № 40 მასწავლებელთა და მოწაფეთა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ.
- 3) ბრძანება № 53 ს. რ. კომიტეტისა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეების ჯარში გაწვევისაგან განსათავისუფლებლად დროებითი ცენტრალურ კომისიის დაარსების შესახებ.
- 4) „ № 54 აშხ. კვირკელიას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დროებით დანიშვნის შესახებ.
- 5) „ № 57 აშხ. ბიბინეიშვილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
- 6) „ № 58 აშხ. წივწივაძის მთავრობის საქმეთა მმართველად დანიშვნის შესახებ.
- 7) დადგენილება № 21 აშხისტიის შესახებ.
- 8) „ № 23 სამედიცინო და ფარმაცევტული ქონების რეკვიზიტისა და კონფისკაციის შესახებ.
- 9) „ № 24 ქალაქის აღრიცხვისა და განაწილების მთავარი სამმართველოს დაარსების შესახებ.
- 10) „ № 25 დებულება საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის შესახებ.
- 11) დებულება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველოსი და მისი ადგილობრივი ორგანოებისა.
- 12) შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებანი, ინსტრუქცია და ცირკულიარები გვ. 12—14.

არაოფიციალური განყოფილება

- 13) კომუნისტების ვალი სოფლად გვ. 15—16.
- 14) ეკონომიური აღორძინებისათვის გვ. 16—17.
- 15) გლეხთა კომიტეტები და სოფლებელ კომუნისტების მოვალეობა გვ. 17—18.
- 16) ურთიერთშორის დამხმარე გლეხთა კომიტეტები გვ. 18.
- 17) რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა გვ. 19—21.
- 18) კვირიდან კვირამდე გვ. 21—23.